

Handwritten notes in Georgian and a signature in purple ink at the top of the page.

ს ი ლ მ ვ ა ნ ი

ჩემი აზრი

და

ფიქრები

პირველი წიგნი

ნუთაისი, 1901

„Коммерческая“ Типография В. Чиладзе и Н-го.



Handwritten signature in purple ink at the top right.

ს ი ლ მ ზ ა ნ ი

ჩემი აზრი

და

ფიქრები

30855

Handwritten in purple ink: "ივანე ჯავახიშვილი"

Handwritten in purple ink: 30855, 1912, 1929

პირველი წიგნი



ქუთაისი. 1901.

3. ზილადისა და ამხ. „კომერციული“ საბეჭდავი.

Дозволено Цензурою, Тифлисъ, 24 марта 1901 года.

მკითხველის მიმართ.

ძვირფასო ჩემო მკითხველო! მე განვიზრახე, ხანდახან ჩემი ნაწერების კრებული დავბეჭდო ცალკე წიგნაკათ. ამ კრებულებში შევა ყოველგვარი ჩემი ნაწერი—ბელეტრისტული იქნება ის, პუბლიცისტური თუ სხვა. ამ ჩემს განზრახვას თავისი მიზეზები აქვს, თავისი საფუძველი, რომელსაც აქვე, შენს წინაშე, გულწრფელათ აღვიარებ.

ძაი ხანია კალამი ხელში მიჭირავს და შეძლებისდაგვარათ ჩვენს მწერლობას ვემსახურები. ძარგათ ვიცი, რომ ბევრი ჩემს ნაწერებს აღმაცერათ უცქერის, ჩემი კალმის სიკეთე არა სწამთ; ესეც ვიცი, რომ ბევრს სიამოვნებით წაუკითხავს ზოგიერთი ჩემი ნაწერი. ვინ არის მათში მართალი? ამის პასუხი ჩემგან არ ითქმის; ხოლო ეს კი უნდა ვსთქვა, რომ ჩვენი კრიტიკოსების არაფერი მჯერა: ისინი ხშირათ ღირსეულს მიწასთან ასწორებენ და უღირსს ვარსკვლავებში აფრენენ...

ღიახ, ჩვენში ჯერ კიდევ, სამწუხაროთ, შეგნებული, გულწრფელი, მიუდგომელი,— ერთი სიტყვით ჭეშმარიტის კრიტიკა არ არსებობს. ხოლო, ავია თუ კარგი, კრიტიკა ყოველ შემთხვევაში საჭიროა; მაგრამ დღევანდელმა კრიტიკამ ვერ უნდა იკისროს—კატეგორიულათ უთხრას ერთს: „შენ ცამდი მაღალი ნიჭის პატრონი ხარო“, და მეორეს: „შენ ნიჭის ნატამალი არ გაბადიარო“!.. ერთ წამსაც არ უნდა დაივიწყონ, რომ ხშირათ სახელოვანი კრიტიკოსებიც კი შემცთარან, და მორიდებულათ, მოკრძალებით წარმოსთქვან თავისი პირადი აზრი და შეხედულება...

ჩემო მკითხველო, ისე ბრმა თავმოყვარე არა ვარ, რომ ჩემი ნიჭი მაღლა დავაყენო და პატივი და დიდება მოვიტხოვო; მაგრამ არც ისე სასოწარკვეთილი ვარ, რომ ჩემი კალამი სრულიად უსარგებლოთ ჩავსთვალო და მწერლობაზე ხელი ავიღო. მართალია, საქებ-სადიდებელი არაფერი დამიწერია, მაგრამ არც იმდენი ცუდი რამე ურევია ჩემს ნაწერებში, რომ გაკიცხვის მეტი არაფერი დამემსახურებოდეს. ისიც კარგია, ჩემო მეგობარო, თუ ათასში ერთხელ მცირეოდენ სასარგებლოს რასმე შევსძენ ჩვენს ღარიბ მწერლობას. სხვა რომ არაფერი იყოს, ეს მაინც შემძლია თამამათ ვსთქვა, რომ კალამს არაოდეს არ გავამრუდებ: ჩემი აზრი და გრძობა ყოველთვის წრფელი იქნება, გულახტილათ წარმოთქმული.

მგებ ვინმე ესეც იკითხოს: ყურნალ-გაზეთები საკმაოთა გვაქვს, და რაღა ცალკე ბეჭდავ დღიური ვარამის შესახებ წერილებსო?

რა ვქნა, ჩემო ხელმწიფეო: ზოგი რედაქცია მე არ მომწონს, ზოგს მე არ მოვწონვარ—და ამ სახით ერთმანეთს ვერ შევეთვისეთ. თითქმის ყოველი ჩემი წერილისა თუ ლექსის დაბეჭდვამ ათასი უსიამოვნობა შემახვედრა ხან ერთ რედაქციასთან და ხან მეორესთან: ზოგი შინაარსს მიწუნებს და ზოგი ენას. ჩემ-მიერ ნათარგმნი ლექსი „ძრიან ქარნი“ სწორეთ წელიწად-ნახევარს ეგდო „ივერიის“ რედაქციაში ისე, რომ მაშინდელმა გაზეთის გამგემ დაბეჭდვის ღირსათაც ვერა სცნო. შემდეგ, როცა გაზეთის განგეობა სხვის ხელში გადავიდა, ეს ლექსი ახალ გამგეს სადღაც მიგდებული ენახა, აედო და დაებეჭდა „ივერიაში“, ისიც მაშინ, როცა დიდი ხნით დაბეჭდილი იყო ის „ქვალში“!.. ამისთანა უსიამოვნობა და უსამართლობა მრავალი შემხვედრია, მაგრამ არ მინდა—თავი მოგაწყინოთ მათი მოგონებით...

და ენა? ღმერთო ჩემო! ვინ მოსთვლის, რამდენი სიმწარე მე მიგრძენია ჩვენი რედაქციებისაგან ჩემი ენის უსა-

ფუძვლო გასწორებისა და დამახინჯების გამო. შველა შემთხვევა აქ არ მოიყვანება, და ერთი მაგალითიდანაც დაინახავთ, თუ რა სიმართლე მიუძღოდათ ჩემი ენის მსწორებელთ. მე რომ, მაგალითათ, ნახმარი მქონდა: „თქვენ აღგიარებიათ“ — მეთქი, რედაქციამ გამისწორა და დაბეჭდა: „გიღვიარებიათ“ — ო!.. ჩემი ენის ფორმები და მართლწერა ღომ — არ იქნა და არა — ვერ დავიცავი. მე რომ, მაგალითათ, ვსწერდი: წავიდენ, კარგათ, თფილისი, შევიტყვე და სხ., რედაქცია ბეჭდავდა: წავიდნენ, კარგად, თფილისი, შავი-ტყეო, და სხ. და სხ.

ბამდელმა რომ თქვენს შვილს ცხვირზე კოპი დაუჯდინოს, შუბლსა და ლოყებზე შავი ტალახი მოსცხოს და ამას შემდეგ კიდევ საზოგადოებაში ატაროს, — თუმა არ უნდა, გული გეტკინებათ, მეტი რომ არა ვსთქვათ. ასე გულსაწვავი გახლავთ მწერლისათვის მისი თხზულებაც, რომელიც იგივე შვილია, სულიერი შვილი.

მც წელზე მეტია — ქართულ ენას ვუკვირდები და ვსწავლობ; ბევრი ვიფიქრე ჩვენი ენის სხვადასხვა ფორმებზე — და ავირჩიე მათ შორის იმისთანები, რომელიც მე უფრო საფუძვლიანათ და უკეთილხმოვანესათ მიმაჩნია. სხვა ფორმებთან ამ ფორმების უპირატესობის საფუძვლებს დაწვრილებით მაშინ წაიკითხავთ, როდესაც დაიბეჭდება ჩემი შრომა ამ საგნის შესახებ, და ეს ფორმები მხოლოდ მაშინ შეიძლება უარყყო, როცა საფუძვლიანათ დამიმტკიცებენ იმათ უვარგისობას. მანამდი კი მე მსურს, ჩემო მკითხველო, ჩემი ნამდვილი სახით გეჩვენო, ჩემს საკუთარ გემოვნებაზე გამოწყობილი, და არა იმ სახით, რომელიც სხვების გემოვნებაზეა მორთული და დახატული. პვი იქნება თუ კარგი, უტყუარი ჩემი სახე გედგომებათ თვალწინ — და მაშინ თქვენი ქეიფია: როგორც გენებოხთ, ისე მიიღეთ.



გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

(ზაულექსავი პოეზია)

რა დამტკბარი დილაა! მზე, სიხარულით სავსე, მთების მწვერვალს მოადგა და ღიმილით გადმოხედა ხესა და ტყეს, მინდორსა და მდინარეს, — გადმოხედა და ყველას გული გაახარა.

მზეს უყვარს მიწა, უყვარს სრული გრძნობით, სულითა და გულით. ზაზაფხულზე ეს სიყვარული განსაკუთრებით ძლიერია, განუსაზღვრელია. მიზეზი ის არის, რომ, აუცილებელი ბედისწერისა გამო, მზე დიდი ხნით მოშორებული იყო თავის სატრფოს — დედამიწას; შორეულ ქვეყანაშიც სიყვარული მას ჩვეულებრივად გულს უწვავდა, გულს უთუთქავდა, სიშორის ჯავრი სახეს უყინავდა: ამიტომაც საბრალო მზე, მთელი ამ ხნის განმავლობაში, მარად დაღვრემილი იყო და სტიროდა, მწუხარებით მონადენ ცრემლებს მარგალიტებათ აქცევდა

და მისებრივ დამწუხრებულ დედამიწას გულზე აფრქვევდა...

ზავიდა განშორების დრო; სიყვარულის ცეცხლით აგზნებულმა მზემ შავბედი სძლია და თავისი წადილი შეისრულა: გულის სატრფოს კვალად დაუახლოვდა.

რა სიტკბოებით მიესალმა მზე დედამიწას! რა სიამით დაყურებს თავის ტრფიალს! ტვალში სიხარულის ცეცხლი უნთია, სახე უბრწყინავს, დასცქერის მიწას და თვალს ვერ აშორებს, თითქო გულში უნდა ჩაუძვრესო...

დედამიწამ იგრძნო მზის სიახლოვე: დაინახა თუარა, გადაუშალა გული მის მაცოცხლებელ სხივებს, ეაღერსება და იაღერსებს, სტკბება მისი ხვეწნით, მისი ამბორით... მიწას გული გაუთფა—და გაიღიმა, გაიცინა, გაიხარა. სათუთმა იამ თავი ნახათ ამოყო, ყელი ტურფათ მოიღერა, დააშვენა ბუჩქის ძირები, გორაკები, ტყეები; თავს აწონებს ბავშვებს: „კარგი ვარ, ნაზი, ტურფა, ლამაზიო“—და ბავშვებიც, მოწონების ნიშნათ, უწყალოთ კრეფენ და გლეჯენ საცოდავ იას... ახი კია მაზე: ერთობ კოხტაა, ერთობ წარმტაცია თვალის, მომხიბლავი სულისა და გულის...

ტყემაც თავი დაიშვენა: თოვლის ფანტელის კაბა შეიკერა—თეთრათ აყვავდა; ატამმა ლალის თვლები დაიზღვავა ტანზე... ჩიტებმა მოფინეს ტყე და ველი: ყოველ ხესა და ბუჩქს, ყოველ ტოტსა

და ფოთოლს ციური ხმით გაზაფხულის მოსკლა
ახარეს.

სად არის სამართალი?

(ღრეიფუსის საქმის გამო *)

ჰუდღენი ემილ ზოლას

ქვალად აღელდა საფრანგეთი მოუსვენარი,
ქვალად სიმართლე შეებრძოლა უსამართლობას!..
იქაც კი გზაზე გახლართულა ეკალი, ნარი,
სადაც ხმამალლა ღალადებენ სიყვარულს, ძმობას...

* * *

თავისუფლების და სიმართლის მხარე მეგონა:—
იმას შეესტრფოდი, ვით იღვალს — მას შეენატრიდი;

*) ღრეიფუსის საქმემ ისე ძლიერათ მიიქცია მთელი ქვეყ-
ნის ყურადღება, რომ თანამედროვე მკითხველი იმას ვერა-
ოდეს ვერ დაივიწყებს. ამიტომ საჭიროთ არ მიმაჩნია—ამ
საქმის შესახებ აქ სიტყვა გავაგრძელო. აი მისი მოკლე გა-
რემოება. 1894 წელში სამხედრო შტაბის კაპიტანს ალფრედ
ღრეიფუსს დაბრალდა სახელმწიფოს ღალატი. სამსჯავრომ
დაძნაშავეთ იცნო ღრეიფუსი—და ის გაგზავნა შტაბის კუნ-
ძულზე, რომელიც მდებარეობს ატლანტიკის ოკეანის მიუ-
დგომელ ალაგას, საფრანგეთიდან რამდენიმე ათასი ვერსის
სიშორეზე. აქ ღრეიფუსმა გაატარა თითქმის ოთხი წელი დი-

აღამიანი იქ, ვფიქრობდი, არ იყო მონა
და ვერ დასძლევდა სულს უმანკოს ზოროტი, ფლიდი...

* *

როგორ ვსცთებოდი!.. როგორ გაქრა ტკბილი ოც-
თავისუფლებას იქ გზა თართო არა ქონია; (ნება!..
იქაც ირღვევა, ვით ყოველგან, სიმართლის მცნება,—
ჩაგრულთა კენესა იქ საზარი გასაგონია.

* *

აი რა მოხთა: უცოდველი კაცი, მართალი—
მოღალატეთა ჩაირაცხა, სასჯელს მიეცა:—
საყვარელ ცოლ-შვილს მოაშორეს იგი საწყალი—
და, ვით მარადის, მღუმარებდა მაღალი ზეცა...

* *

„მეფიცავ ჩემ შვილთა ჩემთვის ძვირფას სიცოცხლეს,
სულსა,
მეფიცავ უმანკოს აქსიმართლეს, მაღლა—
ღმერთსაო,
ჰეშმარიტებას გეუბნებით, მსაჯულნო, სრულსა:
მე მართალი ვარ! ზაუმარჯოს საფრანგეთსაო!“

* *

დი ტანჯვა-წამებით როგორც ფიზიკურათ, ისე სულიერათ-
თაც,—განსაკუთრებით სულიერათ, რადგან, როგორც შემდეგ
ამოჩნდა, ღრეიფუსი დამნაშავე არ ყოფილა. ამ საქმის გამო-
რკვევა და სიმართლის აღდგენა უმთავრესათ საფრანგეთის
სახელოვანმა რომანისტმა მმილ ზოლამ იკისრა. ღრეიფუსის
სიმართლე ცხადათ დამტკიცდა მისი საქმის ხელახალი გან-
ხილვის დროს—და, ზოლასა და მისი მეგობრების წყალობით,
ის ამ ჟამათ თავისუფლათ ცხოვრობს თავის საყვარელ ცოლ-
შვილში,

ასე დრტვინავდა ის საბრალო, -მაგრამ მსაჯულნი
მეტათ გულგრილათ მოისმენდენ ყველა ამასა...
შვილთა ცრემლებმა ვერ მოალობო იმათი გულნი, —
შორი კუნძული მიუჩინეს ბინათ მამასა...

* * *

ბამოჩნდა კაცი, მტკიცე აზრით, წმინდა ზნეობით
ცამდი მაღალი, სიბნელესთან კალმით მეგრძოლი,
სიმართლის მცველი სიყრმიდანვე სრული მხნეობით,
სინათლისაკენ მსრბოლი მარად და წინამძღოლი.

* * *

ბამოიკვლია ამ საქმისა ყოველი წვლილი,
და როს დარწმუნდა განსწავლული, კაცი ხნიერი,
რომ უსამართლოთ დაუსჯიათ მამულიშვილი, —
მაშინ მყის თვისი აამალლა მან ხმა ძლიერი.

* * *

„ქვეყნისა მცველნო! ნუ აბნელებთ მზისა სინათლეს!
საქმე გულმართლათ განიხილეთ ხელმეორეთო;
ის მართალია, — დაგიმტკიცებთ იმის სიმართლეს, —
და ეს შეცთომა, დიდი ცოდვა გაასწორეთო!
ჩვენი სამშობლო არის მხარე თავისუფლების,
ძაცობრიობის სანატრელი იდეალისო, —
და აქ დარღვევა, თუნდა ოდნავ, კაცის უფლების —
არის ღალატი მთელი ქვეყნის მომავალისო“...
* * *

მაგრამ ამაოთ! ხმა მართალი არ შეისმინეს...
ჭეშმარიტების მლაღადებელს, სიმართლის მცველსა.
ბევრიც აფურთხეს, ქვა ესროლეს, დაგმეს, დასცინეს..
ქვალად შეცთომა დაუმატეს ახალი ძველსა!

* * *

ბიდეც დასაჯეს—და დაცვისაც არ მისცეს ნება:
არ ათქმევინეს, რაც უნდოდა,—შეუტრეს პირი...
მაგრამ სიმართლე მთელ ქვეყანას მოეფინება,
როცა უმართლოთ სიმართლისთვის ისჯება გმირი!..

* * *

ბესმისთ, ჯალათნო, რას ამბობენ ქვეყნის მსაჯულ-
ნი—
ფილოსოფოსნი და მსოფლიო მგოსან-მწერალნი?
ბესმისთ—ყოველგან როგორ უფოთვენ ზნეობით
სრულნი,
ქვეყნათ სიმართლის მოფენისა მარად მწყურვალნი?

* * *

აი, მსაჯულნი ვინ არიან მიუდგომელნი!
მართლმსაჯულება მათი ქვეყნის დამაშვენია!
ისინი გმობენ თქვენსსაქციელს, ზოროტო მგმობელნი,
და მათი სიტყვა—ისტორიის განაჩენია!

* * *

ამიერიდან თქვენი საქმე, თქვენი სახელი
ისტორიაში ჩაგრულთ სისხლით ჩაიწერება,—
რომ თქვენ გეწადათ —ბილწი ხელით ქვეყნის ნათელი
ჩაგექროთ, ხალხის მოგეშალათ ბედნიერება..

* * *

გეწადათ... მაგრამ აღბეჭდილი ნათლისა კვალი
ასე აღვიღათ წაიშლება—გგონიათ თქვენა?!..
შორს, უგუნურნო! იმას იცავს ქვეყნისა თვალი:
ნათელი არის ამ სოფლისა ნუგეში, ღხენა!..

* * *

«ძალა აღმართს ხნავს»... მაგრამ თესლი, ხნულში
თავსაინახავს,—მისნაყოფიარ შეიცვლება!—(ნათესი,
აღმოცენდება, შეიქნება კვლავ უტურფესი—
და დიდებულათ, გულთ. საამოთ გადაიშლება!..

*
*
*

თავისუფლებას გზა მიეცით, ქვეყნისა მცველნო!
ჭეშმარიტება და სიმართლე, მარად სიმართლე!..
ნუ გაწოლილხართ ლაქვარდ ცაზე, შავო ღრუბელნო!
ამაოთ ცთილობთ—დააბნელოთ მზისა სინათლე!



ვის უნდა თანავუზრახნოთ?

სხვადასხვა ხალხის ცხოვრებაში ხშირათ მო-
ხდება ხოლმე იმისთანა გარემოება, რომელიც მხურ-
ვალეთ მიიზიდავს მთელი ქვეყნის ყურადღებას. ამ-
გვარი გარემოება უსათუოთ გამოწვეულია ყოველ-
თვის ადამიანთა საერთო გულის ტკივილით, რო-
მელიც შეეხება ცხოვრებაში ადამიანის უფლებათა
გამორკვევას. უდანაშაულო არ დაისაჯოს, თავი-
სუფლება არვის წაერთვას, სარწმუნოება არ შეე-
ლახოს—ეს იმისთანა კითხვებია, რომელიც ერთნა-
ირათ აუტოკებს გულს როგორც ინგლისელსა და
ფრანგს, ისე კაფრსა და ჰოტენტოტსაც. ამიტომ
იყო, რომ ღრეიფუსის საქმეს მთელი ქვეყანა გაფა-
ციცებით ადევნებდა თვალყურს; ამიტომ არის,

რომ ბურების ბრძოლას გულის ფანჯრით შეყურებს მთელი კაცობრიობა.

შოველი ხალხის ჟურნალ-გაზეთობა და შეგნებული პირები ვალდებული არიან, ამისთანა გარემებანი საზოგადოებას წრფელი გულით, ნათლათ გამოურკვიონ და თავისი თანაგრძნობა უსათუოთ ჩაგრულისაკენ მიმართონ. მსოფლიო გარემოებას დიადი აღმზღვლობითი მნიშვნელობა აქვს—და პერიოდული გამოცემის უპირველესი დანიშნულება და საზოგადო მოღვაწეთა ვალდებულებაც ის არის, რომ საზოგადოებას კეთილშობილური აზრები ჩაუნერგონ გულში, კეთილშობილურათ განუვითარონ მას გრძნობა და გონება.

წვევ 1) ბევრი ჟურნალ-გაზეთი გვექონდეს და ბევრი მოღვაწე გვეყავდეს, ყველანი ასე არ იქცევიან დღეს ჩვენში—და იმათზე მინდა ორიოდესი ტყუა ვსთქვა.

ამ წერილში ბურებზე ვილაპარაკებ, და თავდაპირველათ ის უნდა გამოვარკვიოთ, თუ ვინ

1) ამ ნაწილს იმერეთში ხმარობს ხალხი, და როგორც მახსოვს, მწერლობაში ჯერ არავის უხმარია. მე მგონია საჭიროა მისი შემოღება, რადგან იმას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებულ აზრს ხატავს მოკლეთ; მაგალითათ: „წვევ მდიდარი იყო, ამდენ ფულს რატომ აბნევ!“ მს ნიშნავს: „მდიდარი რომ იყო, კიდევ არა უშავს (ან: ისიც გეყოფა, რომ მდიდარი არა ხარ), და რაკი ღარიბი ხარ, ამდენ ფულს რათ აბნევო?“

არის თანაგრძობის ღირსი ამ სისხლსაღვრელ ომში: ინგლისელი, თუ ბური?

ისტორია გვაუწყებს, რომ ბურები, ეს ჰოლანდიელი გლეხები, თავის უძველეს სამშობლოში შევიწროებულნი, აფრიკას გადაესახლენ, რომ იქ მოეპოვებოთ სარწმუნოებრივი და პოლიტიკური თავისუფლება და თავის გუნებისათ ამოესუნთქათ. მაგრამ იმათ ძველებური ნათქვამი აუსრულდათ: ვაის გაეყარენ და უის შეეყარენ. აფრიკაში ბურებს გაუჩნდენ ინგლისელები და, მოეწყობოდენ ერთ ადგილას თუარა, მაშინვე ინგლისის ჯარი თავს დაესხმოდა და უბძანებდა: გინდათ თუ არა ჩვენი ქვეშევრდომები უნდა იქნეთო...

ბურებმა გამოსცადეს ინგლისელთა ქვეშევრდომობა—და როცა მათ ხელში ცხოვრება მეტისმეტათ გაუჭირდათ, აიყარენ, მიატოვეს თავისი სახლკარი და, აფრიკის ველურ ხალხებთან ხანგრძლივ ბრძოლას შემდეგ, დიდი გაჭივრებითა და სისხლის ღვრით ახალი სამშობლო აიჩინეს. ინგლისელები კვალდაკვალ სდევნიდენ ბურებს, ასე რომ დღევანდელი ტრანსვაალი აფრიკაში ბურების მესამე სამშობლოა.

ტრანსვაალის ჯარების მხედართმთავარის, აწ განსვენებულის, გენერლის შუბერის წერილი რომ წაიკითხოთ, რომელიც მან ინგლისის დედოფალს ვიკტორიას მისწერა, თვალზე ცრემლები მოგადგებათ, როცა გაიგებთ, რაც გაჭივრება და გაწამება ბურებს

გამოუვლიათ ინგლისელთა ბატონობისა და მათი მიზეზით ველოურ ხალხთა დევნის გამო; და შუბერი ხომ ისე პატიოსან ადამიანათ იყო ქვეყნისაგან ცნობილი, რომ შეუძლებელია სენამდვილის ოდნავიც არის გადამეტება დავსწამოთ.

ჩვენებურ ანგლოფილებს რომ კითხვით, ინგლისელები მეტათ კეთილშობილურათ ეპყრობოდენ და ეპყრობიან თავის ქვეშევრდომ ხალხებსო, და ეს კი ვერ გაუვიათ ამ ვაჟბატონებს, თუ რატომ არის, რომ ირლანდიელნი ასე თავგანწირულათ ებრძვიან ამ „კეთილშობილ“ ინგლისელებს, რატომ ეხუთვის იმათ სული ინგლისელთა „კეთილშობილური“ ქცევისაგან... მრთი ეს აგვიხსნან ამ ძლიერთა მოტრფიალეებმა: თუკი ბურებს ღმობიერთა და კაცობრიულათ ეპყრობოდა ინგლისის მთავრობა, რამ აიძულა ისინი, რომ ორჯერ მიატოვეს თავისი ჭურმამული, თავისი ნაკვდავ-ნაწყდავი სახლკარი და მიენდვენ აფრიკის უდაბნოთა უღმობელობას?!

ინგლისის მთავრობამ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს გამოუცხადა ბურებს: თუ ჩვენი ქვეშევრდომობა არ მოგწონთ, მიბძანდით, სადაც გნებავდესთო. ბურები დედაწულიანათ აიყარენ, და როცა აფრიკის უდაბურ კლდე-ღრეებში, როგორც ებრაელები არაბეთის უდაბნოში, ერთი მხრით შიმშილწყურვილით სწყდებოდენ და მეორე მხრით აფრიკის ველოურ ხალხთა შემოსევით, — თავგანწირული

სულისკვეთებით, სასოწარკვეთილებით ერთმანეთს ეუბნებოდენ: „წინ გავსწიოთ, ძმებო, ისევ წინ! უდაბნოთა საშიშროება, ველური ადამიანები და მხეცები გვერჩიოს, ვიდრე უსამართლო მთავრობის მონობაო!“..*) ნუთუ შესაძლებელია, რომ ლმობიერობამ ამგვარი სასოწარკვეთილება დაბადოს?!

და ახლა? რა იყო მიზეზი, რომ ბურებს, ამ მშვიდობიან მუშა ხალხს, თოფი ხელში ააღებია და დედაწულიანათ ფეხზე დააყენა?— შორგამკვრეტელი ძრიუგერი კარგათ ხედავდა, რასაც ნიშნავდა ინგლისის მთავრობის ულტიმატუმი, რომ ყოველის ინგლისელთა ქვეშევრდომისათვის, რომელიც ტრანსვაალში ხუთ წელს დაყოფდა, ბურების თანასწორი მოქალაქობრივი უფლებანი მიენიჭებიათ:— ეს ნიშნავდა ნებაყოფლობით ინგლისელთა ხელში ტრანსვაალის ჩაგდებას— და ამიტომ იყო, რომ ძრიუგერმა და მასთან ერთათ მთელმა მისმა სამშობლომ ერთხმათ ღაღადყვეს: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო“— და იბრძვიან აგერ თითქმის ორი წელია, რომ დაიცვან თავისი სახელი, თავისი სამშობლო, ძვირათ მოპოვებული თავისუფლება!..

და ინგლისელებს კი რა უნდათ ტრანსვაალში? იმათ აქ სრულიადაც გულს არ უდაგავს სამშობლოს დაცვის მწვავე გრძნობა, — იმათ გული კი არა, მხო-

*) იხ. ჟუბერის წერილი.

ლოდ კუჭი ეწვისთ, მათ აწუხებს მხოლოდ კუჭის წადილი, რომ ხელთ იგდონ ტრანსვაალის მთელი სიმდიდრე, აუარებელი ოქრო, რომელიც იქ ბურგების საუბედუროთ ამოჩნდა.

აი ეს გახლავთ ინგლისელებსა და ბურგებს შორის დღევანდელი ბრძოლის უტყუარი მიზეზიცა და მიზანიც. როგორ ფიქრობ, გულწრფელო მკითხველო: ვის უნდა ეკუთნოდეს ამ შემთხვევაში კაცობრიობის თანაგრძნობა?

ბაზეთ „ჰვალის“ რედაქციასა და ზოგიერთ ჩვენს არისტოკრატ მოღვაწეებს რომ კითხოთ, მუხლმოდრეკილი უნდა ვევედროთ უფალს, რათა ინგლისელთ დარჩეს გამარჯვება.

ბაზეთი „ჰვალი“, როცა პირველათ ასტყდა ომი ინგლისსა და ტრანსვაალს შორის, დიდი თავგამოდებით ამართლებდა ინგლისის ყოფაქცევას და ამტყუნებდა ბურგებს, უსამართლოთ ეპყრობიან ინგლისელებსო (საბრალო ინგლისი!), თავხედური გამბედაობაა იმათი მხრით ძღვევამოსილ ინგლისთან შებრძოლებათ და სხ.

როდესაც ინგლისელებს ცოტათი ბედმა გაუღიმა და პრეტორია დაიჭირეს, ბ. ნ. შორდანი ალტაცებით მიეგება ბურგების დამარცხებას, მის სიხარულს საზღვარი არ ქონდა. მს უებრო პუბლიცისტი თავის წერილში ქართველებსა და ქართველთა ჟურნალ-გაზეთებს ბურგების მომხრეობას უკიჟინებს: საერთო „ფერხულმა ჩაითრია ქართველე-

ბიკო და ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა შეუდგა ინგლისელების სიძულვილის ქადაგებასო; ერთი ამნაირი წერილი „ჯეჯილის“ შემწეობით ბავშებსაც კი მიაწოდესო“, — ბძანებს ბ. შორდანი (,„ტვალის“, 22 №, 1900 წ.)

„ბაღმა შეეღავე და გამოღმა შეგრჩებაო“, ამას ქვია. ისიც არ იკმარა ბ. შორდანიამ, რომ თვითონ დაიწყო „ტვალის“ საშველებით უსამართლობის ქადაგება, პირიქით კიდევ სიმართლის მომხრეებსაც შეეღავა!.. ნეტა გაგვაგებია, რას ქადაგობს და ვის თანაუგრძნობს ეს მესამე დასვლთა წარმომადგენელი? 1900 წლის „ტვალის“ 51 №-ში ბ. შორდანი წვრილ ერთა თვითარსებობას იცავს („პატარა პასუხი დიდ კითხვაზე“); ვერ გაგვიგია, ბურებმა რაღა დაუშავეს ბ. შორდანისა?!

არ ვიცი, როგორ მოხთა... ალბათ იმედი გაუცრუვდა ბ. შორდანისა, როცა ბურები წელში გაიმართენ და ინგლისელებს საქმე მეტიმეტათ გაუჭივრეს, ან შეიძლება მისმა მოწაფეებმა—დასვლებმა გვერდებში მუჯლოუფუნი წაკრეს მას: ბიკო, რას შვრები? ხან წვრილფეხობას, საწყალ ხალხს (წვრილ ვაჭრობას, წვრილ მეკენჭეებს, წვრილ მწარმოებელთ) იცავ, ხან კი სხვილსხვილ ბობოლებს, — სარცხვილია, გაგვიმტყუნებენო... შრთი სიტყვით, არ ვიცი, როგორ მოხთა, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ამ ბოლოს დროს ბ. შორდანიამ დაანება თავი ინგლისელთა გუნდრუკის კმევას და ცთილობს—მშრბა-

ლათ გამოგვცეს ინგლის—ტრანსვაალის ომის ამბები, ისე რომ ვერავინ გაიგებს, საითკენ არის მიმართული გაზეთ „ქვალის“ სიმპატია...

ღიახ, „ქვალი“ და მისი თანამოაზრე მოღვაწეები ამბობენ, რომ ინგლისის გამარჯვება უნდა ვისურვოთ, რადგან მისი დამარცხება მთელი ქვეყნის „ცივილიზაციის“ დამარცხება იქნებაო!..

„ცივილიზაციისაო“!.. ღმერთმა აშოროს ქვეყნიერობას მისთანა „ცივილიზაცია“, რომელიც ადამიანს მყუდრო ცხოვრებას ურღვევს!.. პირიქით, მთელი ქვეყნის თავისუფალ მოაზრეთა თვალში დღეს არის ინგლისი ზნეობრივად დამცირებული და დაცემული მით, რომ უდანაშაულო ერის დაჩაგვრა სწადია; და თუ მან ეს ბარბაროსული წადილი შეისრულა, უნდა დაუმაღლოს ზოგიერთი სახელმწიფოების მთავრობათა გულგრილობას...

სხვებზე რაღა უნდა ვსთქვათ, როცა თვით სახელოვანმა მწერალმა, თავისუფლების მქადაგებელმა, ჩაგრულთა მოსარჩლემ თავის კალამს უღალატა!.. ავსტრიის ქვეშევრდომის ბარონ სუტნერის მეუღლემ პოლონეთის სახელოვან რომანისტს სენკევიჩს როცა სთხოვა, ბურების სათანაგრძნობო ადრესზე ხელი მოაწერეო, სენკევიჩი არ დასთანხმდა და ბარონესას ასე უპასუხა: უორცულ ბურებზე რომ ზრუნავთ, რატომ არ მოიგონებთ, რომ თქვენი თვალის წინ იჩაგრებიან ჩემი თანამოძმეები თქვენივე სამშობლოს ავსტრიის უღელს ქვეშო?!..

რა ველური აზრია და არაქრისტიანული, არაკაცობრიული საქციელი ამ შემთხვევაში ბ. სენკევიჩის აზრი და საქციელი! რომელი ლმობიერი ადამიანი მოიქცევა ასე, რომ წყალში ჩავარდნილი მოყვასი შემწვობასა სთხოვდეს, და ის კი პასუხათ ეუბნებოდეს: რა შენი მცხელა, მე ჩემი დარდი მეყოფაო!?" აი ვიზედ იტყვიან: „სიტყვა სიტყვაა, საქმე კი სხვააო!“ მხოლოდ გაბოროტებულსა და თავზე ხელადებულ ჩაილდ-ჭაროლდს შეეძლო ეთქვა: „მე რათ დავღვარო სხვებისთვის ცრემლი, როს ჩემთვის ოხვრაც არვისგან მესმისო“?!..

მაგრამ ისევ ჩვენს ლიტერატორებსა და მოღვაწეებს დაკუბრუნდეთ. მე მინდა ვიკითხო: ნუთუ შესაძლებელია, რომ სიმართლისა და კაცთმოყვარების მიმდევარმა ადამიანმა არ თანაუგრძნოს ბურს, რომელსაც მხოლოდ ის დანაშაული მიუძღვის, რომ თავის საკუთრებას, თავის სამშობლოს იცავს?!





რისტვის ღვრიან სისხლს?

სიწითლის ფერი დაედვა
სამხრეთის ცისა კიდესა:
სისხლით შეღებეს მთა, ველი,
თან ცეცხლი მოუკიდესა.

ადამიანი ხოცს და ჟღეტს
თავის მზგავს ადამიანსა,
ძალათ ასაღმებს საწუთროს,
უბნელებს დღესა მზიანსა.

შეიძრა მძლავრი ინგლისი,
უნდა მტრის სისხლი დალიოს,—
ამისთვის არ შურს— ქვეშევრდომთ
თვისთა სიცოცხლე დალიოს.

გზავნის და გზავნის ჯარებსა,—
ბეჩავნი იხოცებიან:—

მშობელნი საფლავთ ნახვასაც
ვეროდეს ეღირსებიან...

ნეტა რა უნდა აღბიონს,
ან სისხლი ვისი სწყურია?—
მისი მიზანი—ოქროა,
შლეტის საგანი—ბურია.

„როგორ მიბედავ ურჩობას!
შძლურა, ვინა კნავიო?!
ზაგსრესავ, თუ არ მემონე,
თუ არ დამიკარ თავიო!..“

„მს შენი ოქროს მადანი,
შენ თვითონ, შენი მხარეო—
ჰველა მე უნდა დავიპყრა;—
მე ვარ მზე, მე ვარ მთვარეო“!..“

ასე ყოყორობს ინგლისი,
ბატონობასა ჩვეული,
და არ დაეძებს, რომ კიცხავს,
ზმობს ქვეყნის ყველა რჩეული...

მს ავიწყდება, ეს მცნება,
სხვის მჩაგვრელს, სხვისა მგლეჯელსა:
„სჯობს სახელისა მოხვეჭა
შოველსა მოსახვეჭელსა!“

რა სისხლის ღვრაა, რა ჟღერა!
ღღეში ათასნი ქრებიან...
აბა ვინ მეტ ხალხს გავსწყვეტო!
მრთმანეთს ემუქრებიან...

ქრისტემ რო მცნება გვიმოძღვრა—
მრი ათასი წელია,—
ადამიანი კი ისევ
ბახელებული მგელია.

ნეტა რას ქვია პროგრესი?..
რათ გვინდა მეცნიერება,
თუ ქვეყნათ არ გვეღირსება
აროდეს ბედნიერება?!

ნუთუ პროგრესის შედეგი
სისხლის ღვრა არის უწყალო
და ძლიერთაგან მის ჩაგვრა,
ვინც ღარიბია, უძალო?!

რათ არ მოსპობენ სისხლის ღვრას?
ბუღოს ხელი დაუკრეფიათ—
და შეყურებენ ხალხთ კვნესას,
თითქო ძაღლთ დაუყეფიათ!..

ბურო! შენ მაინც შეჩერდი,
ნუ, ნუ ატირებ დედებსა!

ნუ ღებავ მათ უვილთ სისხლითა
შენი სამშობლოს ქედებსა!..

მაგრამ მაჩუმებს მე შენი
ვაჟკაცობა და ქველობა,
შენი გულისა ტკივილი,
სამართლიანი მსჯელობა.

შენ ამბობ: „მე ჩემს ოჯახში
ვერ ვაბატონებ სხვასაო!
მოყვრათ მობძანდეს, ვისაც სურს, —
მტრულათ ნუ მესვრის ქვასაო...“

მე ვიცავ ჩემსა სახლკარსა,
მე ვარ პატრონი სრულიო, —
არ დავანებებ არავის,
სანამ კი მიდგას სულიო“!..

ასე ამბობენ ბურები,
და ეს პასუხი, მგონია,
სიმართლის მოყვარეთაგან
შველასგან მოსაწონია.

სამშობლოსათვის იბრძვიან,
მტრებს სწყვეტენ, თვითცა სწყდებიან...
მჩაგვრელთა სისხლის მღვრელები
აროდეს არა სცთებიან!

იბრძვიან, არ ივიწყებენ
ქალ-ვაჟი-ყმაწვილ-მხცოვანი,
რომ „სჯობს სიცოცხლეს ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი!“

ქრწანისის ბრძოლა.

აღმოსავლეთით მოაწვა
მტერი თფილისის მხარესა,—
მის ნატერთალი დღისით მზეს,
ღამით აბნელებს მთვარესა.

აღამამადხანს საჭურისს,
ქრისტეს მტერს, სისხლის მწოველსა—
შინ კითხავს, რათ მოდიხარო?!
მუსრავს ქრისტ^წანს ყოველსა!..

პატარა ქახი დაღონდა,—
ქართველთა ბედი შავდება...
შიქრობს: «ასს ერთი მტვერს ადენს,
ათასს ვერ გაუმკვლავდება»...

ჯარსა ჟუბანა: «ქართველნო,
მრდგულნო ძმანო, მამანო!
ათასი მოდის თითოზე,—
მე დამაფიქრა ამანო...—

«მხედავ, ამოთ დაშვრება
თქვენი გმირული მკლავები...»

არა მსურს—თქვენთა ნათესავთ
თქვენზე ჩავაცვა შავები.

«წადით და თავსა უშველეთ,
მთებში შეხიზნეთ ცოლ-შვილი,—
ღმერთს შეავედრეთ ერდგული
მეფე, მტრის სისხლში მოსვრილი...»

«ჩემთან, გთხოვთ, მხოლოდ ის დარჩეს,
ვის თავი მოსძულებია,
ვისაც სწადს—მტერსა შეაკვდეს,
მტრის სისხლი მოსწყურებია!»

«თქვენს მეფეს არ სურს—იხილოს
სამშობლოს დამხობ-დაქცევა,
არცა სჩვევია მრეკლეს
ზურგის ჩვენება, გაქცევა!..»

«ამად ვირჩიე სიკვდილი,
არ მსურს სიცოცხლე მომზრალი,—
მტერთან ბრძოლაში მოგკვდები,
არ დავნებდები ცოცხალი!..»

„მხოლოდ ის დადგეს ჩემს გვერდში,
ვინც ეტანება სიკვდილსა!..
სხვები კი წადით, ისწრაფეთ—
და უპატრონეთ ცოლ-შვილსა!“..»

ბძანა—და ჯარი აღელდა,
ხმალი იშიშვლა ყოველმა...
„მრეკლეს გაუმარჯოსო!“—
მათ ბანი მისცა მთა-ველმა.

მყისვე შესძახეს ერთხმათა:

„ღე ჩვენზე ღებონ შავები!

მრეკლე მოკვდეს—ჩვენ, ბედშავთ,

მხრებზელა გვებას თავები?!

„ბაგვიძეხვ, მეფევ! გვიჩვენე

ბანაკი წუნკალებისა!

ვაგემოთ მკლავთა სიმაგრე,

სიმახვე ჩვენი ხმლებისა!

„უშენოთ, მეფევ, არ გვინდა

სიცოცხლე, გვექცეს მზე ბნელათ...

ჩვენ გავსწყდეთ, შენ კი იცოცხლე

სამშობლოს სადიდებელათ“!..

მყისვე გაქუსლა მრეკლემ,

წინ შეეგება მტერებსა:—

სპარსნი ურიცხვნი ეფინცნ

ქრწანისის ველსა, სერებსა.

შეიქნა ომი ფიცხელი...

მრეკლემ აღარ აცალა:—

საცა მიუხთენ ვაჟკაცი—

მტერმა ბანაკი დასცალა!

ბაბრაზებულნი სისხლს ღვრიან,—

ცეცხლის დამნთები ომია!

იბრძვის და იბრძვის მრეკლე,—

გაშმაგებული ლომია!

იწევს და იწევს მტრისაკენ,

გზასა იკაფავს ბასრითა...

ვინ დაუხვდება წინ მეფეს,

ბნ შეუტევენ მას რითა?!

ბვერდით უდგანან ვაჟკაცი,
აპობენ მტრისა გუნდებსა;
მუსრავენ, შიგ ერევიან,
ვით ქორი ტრედთა ხუნდებსა.

ღაწინაურდა მრეკლე,
ბატაცებული ბრძოლითა;
ვაჟკაცი უკან ჩამორჩენ
მტრის ურდოს შემოწოლითა.

ქლექენ და ჟლექენ ურჯულოს,
სდგმენ დახოცილთა გორებსა,
ღვრიან და ღვრიან მტრის სისხლსა
და აყენებენ მორევსა.

სცემენ, კვეთენ და აპობენ—
მტერი თანდათან მრავლდება;
ხოცვენ და სრესენ, მუსრავენ,—
თითქო არავინ აკლდება...

მიმოიხედეს—ვერ ნახეს
მრეკლე მირონცხებული...
შეხედეს—შორს წინ იბრძოდა
პირქუში, გამეხებული!

იბრძოდა:—მის ხმლის ტრიალი
ცის ელვა იყო მზარავი!
ათასი ირგვლივ ეხვია—
შთალი იყო მთარავი!..

ვისაც დაკრავდა—აპობდა,
არც მტერს, არც თავსა შურავდა:

ღახოცილთ სისხლში სცურავდა...

რა სცნეს მტარვალთა, ვინც იყო
ქართველი იგი მამაცი,

ბამოარჩიეს ოციოდ

თათარი გმირი, ვაჟკაცი

ღა უთხრეს: „მრეკლე-ხანი

ან შეიპყარით ცოცხლათო,

ან მისი თავი მიართვით

წინაშე ყვინს ფიცხლათო“!..

მიმართეს მეფეს კიჟინით:

„მრეკლე-ხანო, დაგვრჩიო!

ცოცხლათ დაგვნებდი! სიკვდილსა

ვინძლო სიცოცხლე არჩიო“!..

მეფემ პასუხათ შეკივლა:

„სანამ მწყალობენ ცანიო,

არ დაგნებდებით! მობძანდით!

მე ვარ მრეკლე-ხანიო“!..

ღა მსწრაფლვე გულში წარმოსთქვა:

„მშვიდობით, ჩემო მამულო,

ამირანივით მტრებისგან

მარად შეჯაჭვულ-დაბმულო!

„შენს სიყვარულში მოვხუცდი,

სირცხვილი არ მიჭამია,

ღა აწ სულიცა შეგწირო

ღღეს ომში—იმის ჟამია“!..

შემოეხვიენ თათარნი,—

მაგრამ ჯერ შორით დგებიან;

შლექდა, ხოცდა და მუსრავდა,

ახლოს ვერ ბედვენ მისვლასა—
ბმირისა შიშით ბნდებიან...

თვით შეუტია მრეკლემ
მრთს მათგანს უვაჟკაცესსა,
ღაარტყა ხმალი მხარ-ბეჭზე—
ბამოასაღმა მყის მზესა.

მაშინ გაბრაზდენ თათრები,
შემოუტიეს ერთობით:—
ხმლებით სწვდებოდენ მეფესა,
თუმც ვერ შეიპყრეს შეპყრობით...

ამ დროს მივარდენ ქართველნი,
ქიჟინი დასცეს გმირული—
ღა გამოსტაცეს მტერს ხელში
მრეკლე თავგანწირული!..

*

ღაღამდა. ბრძოლა გათავდა.
მრეკლე მირონცხებული
ღაღრეჯითა სდგას, ცრემლსა ღვრის,
თუმცა კი გამარჯვებული.

შინ კითხავს: „რა გატირებსო?“
ბარშემო იყურებიან,
ღა რა ვერ ხედვენ ამხანაგთ,
თვითცა ტირილით სდნებიან.





მარჯორი ვარდოპის ასულს.

მს ჩვენი პაწა სამშობლო.
მარადის კობტა ყოფილა;
მოხუცდა, მაგრამ შეხედეთ;
ქეკლუცათ გამოწყობილა!

* *

ტანათ მოხთენილს, მაღალსა—
თავი ცათ მიუბჯენია,
ლაწვათ—მზე-მთვარე, თვალგებათ
ვარსკვლავნი მიუჩენია.

* *

ტყიანი ტურფა გორები
წარბებათ გადართხმულია,
ქვავილოვანი ბორცვ-კორდნი
მისი მკერდი ღბ გულია!

* *

ძარღვებში მისჩუხჩუხობენ
ანკარა, სწრაფი წყარონი,—

შოველგნით ხმანი ისმიან,
ბულისა გასახარონი.

* * *

სულათ ციური ჰაერი.
შთამოუბერავს ლვთაებას,
რომ მოიხიბლოს მნახველი,
ვეღარ აეხსნას, დაებას!..

* * *

მაშ რაღა გასაკვირვია,
რომ მას ეტრფოდა მრავალი,
რომ მისკენ მიიმართოდა
შეველასი გზა და სავალი?!

* * *

ხოლო ის ტრფობა არ იყო
ნაყოფი სიყვარულისა:
მის ხვევნიტ სურდათ მოეკლათ
შინი უშვერი გულისა..

* * *

უნდოდათ—შემოეცარცვათ,
რაც რომ კეკლუცსა შვენოდა,—
იმას კი არ დაეძებდენ—
თუნდ სული ამოხთენოდა.

* * *

ჰეკლუცი, ამის მგრძნობელი,
იბრძოდა გააფთრებული,
არ იკარებდა ცფიერებს,—
მით იყო აოხრებული...

* * *

სულ სხვაა გულის ტრფიალი,
ვინც შენებრ მოყვარულია,
ვინც სატრფოს ბედნიერების,
შეებისა მოხარულია.

*
*
*

ძეკლუცი იცნობს მოკეთეს,
მის გულის წრფელათ ძგერასა—
და შეუერთებს თავის ხმას
იმის გალობას, მღერასა.

*
*
*

ჩაეკონება მას გულში
მადლობით სავსე გულითა,
დასტკბება მასთან ალყრსით
და წრფელი სიყვარულითა!



დ ე მ ო ნ ი.

ცხადათ, სიზმარში, დღისით და ღამით,
მარტოთ მყოფს, თუნდა ხალხში გართულსა—
მარად დემონი, სევდის დემონი.
მიწყლულებს გულსა, მიწამლავს სულსა.

**

როს იშვიათათ ტკბილი ოცნება
ბოღმით სავსესა გულს მომიფონებს,—

მყისვე დემონი მომევიწიება
და კვლავ ნაღველსა, უხამს მომაგონებს.

**

როს სატრფო საგანს, ჩემსა იდეალს
მუახლოვდები გულის ფრიალით,—
დემონი იგი მომაფრინდება
და საწამლავსა მაწვდის ფიალით...

**

იმან გამიშრო სისხლი ძარღვებში,
დამიუძლოურა მთელი სხეული—
და აწ ჩემს სულსაც, ფიქრებს, ოცნებას
იგივე ბატონობს, იგი წყეული...

**

მაგრამ... დე მდევნოს ბოროტმა სულმა!..
ჩემს ზვედრ საწამლავს დავეწათები—
და თუნდ სიმწარით, კვნესით და დრტვინვით—
იდეალისკენ გავესწრაფები!



ქუთათური ოკოჯიცია.

„მოყვარეს პირში უძრახე,
მტერს პირს უკანაო“.

როდესაც რაიმე ამხანაგობა შესდგება, რა სა-
ხელიც უნდა ერქვას და რა მიზანსაც უნდა ემსა-

ხურებოდეს, უპირველესათ ის მოეთხოვება, რომ მისი წევრები გარკვეული წესდებით ხელმძღვანელობდნენ, დაწერილით გინდ დაუწერელით, და ამ წესდების უპირველეს პარაგრაფათ, რა თქმა უნდა, მიღებული უნდა იქნეს შემდეგი წესი: ყოველივე კითხვა ხმის უმეტესობით გადასწყდეს და ამ სახით დადგენილი გადაწყვეტილება შემდეგ ყველასთვის სავალდებულო იქნეს.

მს არის ყოველგვარი წრის მიუცილებელი პირობა; უამისოთ მისი გზა-კვალი ყოველთვის აბნეული იქნება და მის საქმეთა მსგელლობა გამოუანგარიშებელი, უბრალო შემთხვევაზე დამოკიდებული.

არის ჭკუთაისში ზემოხსენებული წესისამებრ შეკავშირებული ოპოზიცია, თუ არა?

ყოველ ქვეყანაში, სადაც კი ნამდვილი ოპოზიცია არსებობს, ის შესდგება ორი ნაწილისაგან: მუდმივ წევრთაგან, რომელნიც საზოგადო საქმეში ყოველთვის ერთათ, დაუშორებლათ არიან, და შემთხვევითი წევრებისაგან, რომელთაც მუდმივი წევრები იძენენ თავისი სიტყვის გაღლენით, თავისი აზრის ქადაგებით.

ჭკუთაისში, მართალია, არსებობს წრე, რომელიც დიდი ხანია ებრძვის ადგილობრივი საზოგადოების ცნობილ წევრთა ბოროტმოქმედებას და რომელსაც საზოგადოთ ოპოზიციას ვუწოდებთ; მაგრამ ამ წრეს ერთი რამე აკლია, — სახელდობ ის ადუცილებელი პირობა, რომელიც ჩვენ ზევით და-

ვასახელეთ. ამ პირობის უქონელობა ბევრჯერ დაამტკიცა ქუთათურმა ოპოზიციამ—და სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ ყოველთვის წააგო ბრძოლა.

მოვიგონოთ, თუ გნებავთ, ქუთაისის ქალაქის თავის არჩევანი. როდესაც ბ. ლოლუა პირველათ გამოვიდა ამ თანამდებობის კანდიდატათ ბ. ასათიანის წინააღმდეგ, ოპოზიციის ერთი წევრთაგანი, რომელსაც პირადი რალაცა უსიამოვნობა შეხვედროდა ბ. ასათიანთან, აუხირდა ამ უკანასკნელს, სულ მის უვარგისობას ქადაგებდა—და ის იყო შეუსრულდა წადილი: ერთი კბილის მატლი შესძინა ოპოზიციას, იმისთანა კბილის მატლი, რომლის ბრძოლაში შემდეგ ოპოზიციამ მრავალი ძვირფასი დრო დაკარგა სრულიად ამაოთ.

მეორე ბრძოლაში, როცა ოპოზიციამ ბ. ლოლუას წინააღმდეგ ბ. ძიქოძე გამოიყვანა,—ოპოზიციის იგივე წევრი კიდევ ახირდა, კიდევ ბევრი იქადაგა—და ორიოდვე სხვაც მიიმხრო, რითაც წააგებია ოპოზიციას ეს ბრძოლაც. „მე არ მომწონს ეს კანდიდატიო, არ მიმაჩნია ამ ადგილის ღირსათო“ და სხ., გაიძახოდა ის, და იმავე დროს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მის გამამტყუნებელს ორ საბუთს: ერთი იმას, რომ ბ. ძიქოძე ოპოზიციამ კანდიდატათ იმიტომ გამოიყვანა, რომ დღევანდელ მდგომარეობაში მართო ამის გაყვანა შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, ლოლუას გაცილებით სჯობიაო; და მეორე—კარგათ უნდა ესმოდეს შევანებულ ოპო-

ზიციონისტს, რომ დიდი ეგოისტობაა, მეტი რომ არა ვსთქვათ, ერთმა კაცმა თავისი აზრით გადალახოს ასისა და ორასის თანასწორი ამხანაგის აზრი და შეხედულება რაიმე საგანზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს კაცები ერთ ოჯახს, ერთ წრეს შეადგენენ...

საადგილ-მამულო ბანკის თავმჯდომარის ბ. კ. ჩიკვაიძის წინააღმდეგ, უკანასკნელი არჩევანის დროს, ოპოზიციამ რომ თავის კანდიდატათ ბ. ლ. ლორთქიფანიძე გამოიყვანა, ოპოზიციის ერთმა წევრთაგანმა (ახლა კი სხვა პირმა, რომლის შესახებაც მე ჩემი აზრი უკვე წარმოვსთქვი „ივერიასა“ და „მომბეში“), კიდევ რაღაცა პირადი ანგარიშების გამო, ოპოზიციას ტლინკები მიაყარა, ახტა-დახტა და ლოლუა— ჩიკვაიძის ბანაკში ჩახტა. იმას მიბაძა კიდევ ორმა-სამმა სხვამაც—და ბრძოლამ კიდევ ამაოთ ჩაგვიარა.

ზოგიერთმა მკითხველმა ეგებ იფიქროს: რა მნიშვნელობა უნდა ქონდეს ორ-სამ კაცს, თუკი სხვა წევრები მტკიცეთ შეკავშირებული არიანო? პასუხათ იმათ ეს უნდა მოვახსენო: რაღა წრეა და რაღა კავშირი, თუ დღეს ერთი გაგვიტყება განზე, ხვალ მეორე, ზეგ მესამე—დაუბოლოებლათ?! რაღა წრე ეთქმის იმ წრეს, რომლის წევრებიც მხოლოდ მაშინ ემორჩილებიან წრის მოქმედებას, როცა აღძრული კითხვა პირადათ მათთვის სასიამოვნოა, და თუ რომელმე კითხვას პირადათ არ თანაუგრძნო-

ბენ, მაშინ არათუ წრის მიზანს ემსახურებიან, პირ-
იქით—კიდევაც ეწინააღმდეგებიან?! ამგვარი წევ-
რები იმ მიჯნურს მომაგონებენ, რომელზედაც
შოთა ამბობს: „ღღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა,
სთმობდეს გაყრისა თმობასაო“.—ერთი და ორი
კაცი, მართალია, დიდს არაფერს შეადგენს მთელი
წრისათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი გარემო-
ებაა დიდათ საყურადღებო. რომელიმე წრე შეიძლება
ძალიან მცირერიცხოვანიც იყოს, მაგრამ თუკი მისი
წევრები ზნეობრივად მტკიცეთ შეკავშირებული
არიან, ისე რომ საერთო აზრს არავითარ შემთხვე-
ვაში არ უღალატებენ,—იმას ყოველთვის დიდი
გავლენა ექნება გარშემორტყმულ საზოგადოებაზე-
და თავისი აზრისა და რწმენის სიმტკიცით ბევრ წევრ-
საც შეიძენს თავისი მიზნის გასატარებლათ. მოი-
გონეთ, რა აზრიცა აქვს იესოს სიტყვებს: „ამინ
გეტყვი თქვენ, უკეთუ გაქვდეს სარწმუნოება, ვი-
თარცა მარცვალი მდოგვისა, რქვათ მთასა ამას:
მიიცვალე ამიერ იქი, და მიიცვალოს, და არა რა
შეუძლებელ იყოს თქვენ მიერ“ (მათ., თ. 17,
მ. 20). ასე ძლიერია სულიერი სიმტკიცე, შეურყე-
ველი რწმენა!..

და როცა წრეს თვით მისი მუდმივი წევრები
ღალატობენ,—საზოგადოებაც იმაზე გულს აიყრის
ხოლომე. წრის შინაგანი განხეთქილებით სარგებლო-
ბენ მისი მოწინააღმდეგენი და საზოგადოებას განუ-
წყვეტლათ ჩასჩინებენ: „ხომ ხედავთ, რომ თვი-

თონაც ერთ პირზე ვერ დამდგარანო? რა დასაჯერებელია იმათი აზრი სხვებისგან, როცა თვით მათ ამხანაგებსაც არა სჯერათ ისო“?!.—მართალიც არის; ამისთანა მსჯელობა ძალიან ადვილი დასაჯერებელია—და ზემოხსენებული შინაგანი განხეთქილება ყოველთვის საუკეთესო იარაღი ყოფილა მოწინააღმდეგეთა ხელში.

ძუთათური ოპოზიციის დამარცხებათა მიზეზიც, ჩემი აზრით, ყოველთვის ეს იყო, ეს შინაური განხეთქილება, ეს უთანხმოება მის წევრთა შორის, ეს შინაგანი ღალატი, რომელიც არათუ პაწია წრეების, მთელი ხალხებისაც დამლუპველი ყოფილა ყოველთვის. ოპოზიციის მრავალი წევრი, — ჩვენ თვითონ მოწმე ვართ, — თავგანწირულათ, მედგრათ ებრძოდა საზოგადო საქმეთა მტრებს, მაგრამ რა?.. აქაც კიდევ იგივე უკვდავი შოთა უნდა ვიმოწმო: „რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!“ ოპოზიცია მხნეთ იბრძოდა, მაგრამ ბრძოლას მაინც აგებდა, რადგან ციხე შიგნიდან ტყდებოდა...

როდესაც საბანკო უკანასკნელი არჩევანის ბრძოლა წავაგეთ, რომელშიც მეც ვიღებდი მონაწილეობას, როგორც ამომრჩეველი და ოპოზიციის ერთი წევრთაგანი, და როდესაც ცხადათ დავინახეთ ოპოზიციის მოღალატენი, — რამდენიმე პირი ერთ ადგილს შევიკრიბეთ—და მათ მივმართე მე დაახლოებით შემდეგი წინადადებით: „ბატონებო! თქვენ

თვითონ იცით, რა მონდომებულათ ვიბრძოლეთ, რამდენი დრო მოვანდომეთ ამ ბრძოლას, და მაინც კიდევ დავმარცხდით—მეთქი. მე მგონია, რომ ჩვენი დამარცხების მიზეზი ისევე ჩვენი მეგობრები არიან, უკეთ ვსთქვათ—ის პირები, რომელთაც ჩვენ მეგობრებათ ვსთვლიდით, და ნამდვილათ კი მტრები გამოდგენ—მეთქი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ოპოზიციას მანამდი არ ექნება საზოგადოებაში საფუძვლიანი გავლენა, სანამ მისი წევრები ზნეობრივად მტკიცეთ შეკავშირებული არ იქნებიან ერთმანეთთან, სანამდი ეს შინაგანი ლალატი არ მოისპობა მათ შორის, და ეს ლალატი კი მანამდი არ მოისპობა, სანამ მისი მომქმედი დაუსჯელი დარჩება ცხოვრებაში, სანამ მოლალატეებს არ ვაგრძნობიებთ, რომ თავისი უზნეო საქციელი იმათ ძვირათ დაუჯდებათ—მეთქი. ჩვენ არ შეგვიძლია—სხვა სასჯელი მივაყენოთ მათ, და ზნეობრივად კი შეიძლება დავსაჯოთ ისინი: როდესაც რომელიმე წევრი საზოგადო საქმეში ზურგს შეგვაქცევს, როგორც დღეს,—იმისთანა წევრი გამოვრიცხოთ ჩვენი ამხანაგობიდან, მოვსპოთ მასთან ყოველგვარი მეგობრული განწყობილება, მისვლა-მოსვლა და ნაცნობობა,—ერთი სიტყვით იმასთან ნურაფერ საერთოს ნუ ვიქონიებთ—მეთქი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ რომ მუხანათ მეგობრებს ჩვენ ძველებურათ ხელს გავუწვდენთ, მათთან ლხინსა და ნადიმს და მეგობრულ განწყობილებას არ დავიშლით,—მაშინ

ჩვენ მოლაღატე არაოდეს არ დაგვეღვევა, რადგან ბოროტგანმზრახველს ყოველთვის ეხსომება, რომ თავისი ღალატით ცხოვრებაში ნივთიერათ შეიძლება ბევრიც მოიგოს, ხოლო ზნეობრივად არაფერს არ წააგებს, უბრალო ნაცნობსაც კი არ დაკარგავს-მეთქი.“

ამ წინადადების დედააზრი ვერაფერ ვერ უარყო; პრაქტიკულად განხორციელებაზე კი იქ დამსწრეთაგანმა ერთის მეტმა ყველამ უარი გააცხადა: ასე დემონსტრაციულად როგორ უნდა გამოვეთხოვოთ მეგობარ კაცებსო?!, ღა მართლაც, არ გასულა ამას შემდეგ ორი-სამი თვე, რომ ერთმა მოლაღატეთაგანმა ნადიმო გამართა—და ჩვენი ქებული ოპოზიცია თითქმის მთელად იქ ბძანდებოდა და ვარხალაღეს იძახოდა!..

მკითხველო! ნუთუ შესაძლებელია, რომ ამისთანა წრემ მტკიცე საფუძველი მოიპოვოს ცხოვრებაში და საზოგადოებაზე რიგიანი ზნეობრივი გავლენა იქონიოს?!

მე გაკვირვებული ვარ, რით მოიყვანა ქუთათურმა ოპოზიციამ აღტაცებაში „ცნობის უწყრკლის“ მეთაურების ავტორი (1901 წ. 1365 და 1369 №№)! როგორც ჩანს, ბ. ლოლუას სამსახურიდან გამოსვლას ამ წერილების ავტორი ოპოზიციის ბრძოლის გავლენას მიაწერს და ბ. ლოლუას დამარცხებას ოპოზიციის გამარჯვებათა სთვლის.—
რა საშინელი შეცდომაა!.. ბ. ლოლუას დამარცხე-

ბა თავიდან ბოლომდე მისივე, ბ. ლოლუასი, საკუთარი მოქმედების შედეგია—და აქ ოპოზიცია რა შუაშია?! არც მესმის მე „ცნობის ფურცლის“ ალტაცებული სიხარული ამ შემთხვევაში. მე მგონია სატირალიც არის, რომ ასე თვალსაჩინოთ მტკიცდება ჩვენი საზოგადოების გონებრივი სიბრმავე და ზნეობრივი სილატაკე... აბა სხვა რა უნდა ითქვას იმისთანა საზოგადოებაზე, რომელიც თორმეტი წელია ირჩევს მეთაურათ ამისთანა მოღვაწეს?! ბ. ლოლუა რომ ოპოზიციას გაედევნა ასპარეზიდან, მაშინ სწორეთ სიხარული გვმართებდა, ყველანი საფუძვლიანათ ვიტყოდით: „ქეშმარიტათ სასიხარულოა, რომ ჩვენი საზოგადოება გონზე მოსულა, ზნეობრივათ გაზდილა: იგი სამართლიანათ სჯის თავის მავნებელ წევრებსო!.. შაშა, ვაშა ოპოზიციასაც, რომლის ქადაგებამ და მაცადინობამ თავისი ნაყოფი მოიტანაო“!.. და ახლა? ახლავის ეთქმის ვაშა: საზოგადოებას, ოპოზიციას, თუ იმ გამომძიებელს, რომელმაც ბ. ლოლუას დამარცხებისა და განდევნის ოქმი შეაყენა?!.

ღიახ, ბ. ლოლუას დამარცხებაში ოპოზიციას არავითარი წილი არ უდევს...

მრთი კიდევ თ. ნიჟარაძის დამარცხებაზე ასტეხეს ტაშის ცემა და გაიძახოდენ: აი საზოგადოების ზნეობრივი ზღაო, აი ოპოზიციის შრომის ნაყოფიო!.. კიდევ და კიდევ ფაქტების არეგ-დარევა და სინამდვილის გამოურკვეველობა! თ. ნიჟარაძე წასული

წლის 25 ნოემბერს მისმავე საკუთარმა დაუფიქრებელმა მოქმედებამ დაამარცხა. თავად-აზნაურობა, როგორც ძველებური რაინდული წოდება, დღესაც ყველაზე უფრო ძლიერათ აფასებს კეთილშობილური სიტყვის შესრულებას, და თავად-აზნაურნი 25 ნოემბრის კრებაზე იმ გარემოებამ ააღელვა, რომ თ. ნიჟარაძემ დაარღვია ეს რაინდული წესი: უარყო სიტყვა, რომელიც მან საზოგადო კრების წინა დღეებში აღუთქვა მრავალ თავად-აზნაურსა და თავად-აზნაურთა ყველა წარმომადგენელს...

ამ სახით, არც საზოგადო ასპარეზიდან ბ. ლოლუას გადაყენებაში და არც თ. ნიჟარაძის ინციდენტში ოპოზიციას არავითარი სამსახური არ მიუძღვის, რადგან ორივე ეს გარემოება ოპოზიციის გავლენის გარეშე მოხდა.

მე ყველა ამით ის კი არ მინდა დავამტკიცო, რომ ოპოზიცია სრულიად არაფერს აკეთებს-მეთქი, არამედ ის მინდა ვსთქვა, რომ მეტიმცეტი ნელის, კუს ნაბიჯით მიდის წინ, თითქმის ყოველთვის მარცხდება—და ამის მიზეზია მის წევრთა შორის იმ ოწინარის უქონელობა, რომელიც ყოველ წრეს ზნეობრივად აკავშირებს, სულიერათ ამტკიცებს და აძლიერებს—და რომელსაც დისციპლინა ეწოდება.

მს უდისციპლინობა, როგორც ზევითაც ვსთქვით, ბევრჯერ გამოაჩნდა ჩვენს ოპოზიციას—და, სხვათა შორის, წასული წლის დამღვესაც, როცა

ქალაქის საბჭოს წევრი უნდა აცრიხათ. **ზ**ადა უთავდებოდა **ბ.** **ა**ლ. **ბ**აბაშვილს, მის მეტოქეთ წარმოსდგა **ბ.** **ბ**რ. **ბ**ველესიანი. **მ**რივე ეს პირი ოპოზიციას ეკუთნის, — მაშასადამე რიგიანობა მოითხოვდა, რომ ოპოზიციასვე გადაეწყვიტა, თუ რომლისთვის მიეცა უპირატესობა, რომლის კანდიდატურა წამოეყენებია. **ნ**ამდვილათ კი ასე არ მომხთარა.

ბ-ნი სერგეი **ჯ**ათარძე „**ც**ნობის **შ**ურცლის“ 1356 №-ში გვარწმუნებს, რომ **ბ.** **ბ**ველესიანი თავიდანვე მოელაპარაკა ოპოზიციის წევრებსო (**ღ**ავით **ლ**ორთქიფანიძეს, **ღ**ავით **ხ**ელთუფლიშვილს, **შ**არლამ **ჭ**ილაძეს, **ბ**ევრს სხვასაც და მათ შორის მეცო); არ დაკითხებია მხოლოდ **ბ.** **ბ**აბაშვილის დაახლოებულ მეგობრებსო. ამის მეტი საშვალეობა არც არის არსად ჩვენშიო: რაიმე კითხვის შესახებ პარტიის მეთაურებს უნდა დაეკითხონ, ან თითოეულ წევრს ცალკეო, და სხ.

რამდენი შემცთარი აზრია ერთათ თავმოყრილი, **ბ.** **ჯ**ათარძის სიტყვებში! **ჯ**ერ ერთი ის უნდა მოვახსენოთ **ბ.** **ჯ**ათარძეს, რომ არცერთ კეთილგანწყობილ წრეში არ არის შემოღებული — აზრები ქუჩა-ქუჩა ^{შეკრებიან} ~~შეგროვდნ~~ წევრებისაგან; თითოეულმა ცალცალკე შეიძლება ერთი რამე აზრი წარმოსთქვას, კრებაში კი შესაძლებელია სხვა აზრს დაადგეს, რადგან მხოლოდ კრებაში, ხანგრძლივი დავითა და კამათობით, შეიძლება „ასჯერ გაზომვა და ერთხელ გადაჭრა“, ან როდის იყო, რომ ქუთათუ-

რი ოპოზიცია ქუჩა-ქუჩა კითხულობდა აზრებს, ვინ გამოვიყვანოთ კანდიდატათო? ჩემს ხსოვნაში ოპოზიციის მხრით კანდიდატის დანიშვნა ყოველთვის კრების გადაწყვეტილებით მომხთარა, და ბ. ჯათარძე კი ოთხ კაცს გვისახელებს და საკმაოთა სთელის იმათ აზრს საზოგადო კითხვის გადასაწყვეტათ (თუმცა იქვე ამბობს, ბევრს სხვასაც დაეკითხა ბ. ბველესიანიო, მაგრამ ვინ იცის, ვინ იყო ეს ბევრი და ან ნამდვილათ რამდენი იყო?!).

მგებ ბ. ჯათარძე დასახელებულ პირებს მეთაურებათ სთელის და იმიტომ მიაჩნია საკმაოთ იმათი აზრი? მაგრამ არა ვგონებთ, რომ ბ. ჯათარძეს ზემოხსენებული პირები დაესახელებიოს, როგორც მეთაურები, რადგან იმათ შორის ერთი იმისთანაც კი ურევია, რომელიც, როგორც ნათქვამია ზევით, ორჯერ ეწინააღმდეგა ოპოზიციას და მის გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა.

რაც შეეხება მეგობრების ხსენებას, აქაც ორქოფობა გამოსჭვივის ბ. ჯათარძის აზრში. თუ რომ ბ. ბაბაშვილის მეგობრები ვერ შესძლებდნენ აზრის მიუდგომელათ წარმოთქმას, რა საბუთი გვაქვს, რომ იგივე ეჭვი არ დაგვებადოს ბ. ბველესიანის მეგობრების შესახებაც? ზემოხსენებულ პირებს შორის ზოგი ბ. ბველესიანის დაახლოებული მეგობარია (მათ შორის თვით ბ. ჯათარძეც) და ზოგიც იმისთანა წევრი, რომელიც, რაღაცა პირადი ანგარიშების გამო, აღჭურვილი იყო ბ. ბაბაშვილის წინააღმდეგ...

მართი სიტყვით, ბ. სერგეი ჯათარძე ვერაფრით ვერ გვიმტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში ოპოზიციას უდისციპლინობა არ გამოეჩინოს იმისთანა წევრთა წყალობით, რომელთა შორისაც თვით ბ. ჯათარძესაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, რადგან საქვეყნოთ ამტკიცებს, რომ ქუჩა-ქუჩა აზრების შეკრება და მხოლოდ ორი-სამი კაცის აზრით ხელმძღვანელობა დისციპლინის უქონელობას არ ნიშნავსო...

დისციპლინა იმას მოითხოვდა, რომ ოპოზიციის წევრები ერთათ შეკრებილიყვენ და გაესაჯათ, თუ ვინ დაესახელებიათ კანდიდატათ და ვისთვის ამოეჩინათ მომხრეობა, და მაშინ ძალიან ადვილი შესაძლებელია, რომ იმავე ბრ. ზველესიანისთვის მიეცათ უპირატესობა და დისციპლინის დაურღვევლათ იგივე ამოერჩიათ. ღარწმუნებულისა ვარ, რომ იმ შემთხვევაშიც ესვე შედეგი იქნებოდა—და მაშინ ბ. ბრ. ზველესიანის არჩევანი ყველასთვის სასიამოვნო დარჩებოდა. ახლა კი, თუ ოპოზიციის მრავალი წევრი ნაწყენია და გაჯავრებულიც, ეს იმიტომ მოხდა, რომ ბ. ზველესიანის არჩევანს წინაუძღოდა რალაცა მალულობია, განზე გადგომა, არე-დარევა... მართი სიტყვით დისციპლინის უარყოფა.

დასასრულ, ეს ჩემი წერილი იმავე წინადადებით უნდა გავათავო, რომელიც ზევით მაქვს მოყვანილი. თუ გვინდა, რომ მომავალში მაინც დრო და შრომა უნაყოფოთ არ დაგვეკარგოს, მტკიცეთ

უნდა დავიცვათ შემდეგი წესები:

1. შოველი საზოგადო კითხვა საერთო კრებაში გავსაჯოთ.

2. შოველ წევრს ნება ექნეს—თავისი აზრი იქადაგოს და მედგრათ დაიცვას მხოლოდ იმ წუთამდი, სანამ კრება ხმის უმეტესობით გადასწყვეტდეს რასმე; ამას შემდეგ კი ყოველი წევრი (გადაწყვეტილების წინააღმდეგ) ვალდებული იქნეს, წრის გადაწყვეტილებას დაემორჩილოს, მას ემსახუროს სულითა და გულით.

3. როცა რომელიმე წევრი არ დაემორჩილება ამხანაგობის გადაწყვეტილებას, ან უღალატებს წრის მიზანს,—იმისთანა წევრი უსათუოთ ზნეობრივად დაისაჯოს (მაგალითათ წრიდან განდევნით, კოლექტიური გაკიცხვით თუ საყვედურის გამოცხადებით და სხ.).

როცა ამგვარი ზნეობრივი სიმტკიცით იქნება შეკავშირებული ოპოზიცია, მხოლოდ მაშინ იქონიებს ის, ჩვენი აზრით, საზოგადოებაზე დიდს ზნეობრივ გავლენას და ბრძოლაში გამარჯვებას მხოლოდ მაშინ მოიპოებს.



თ. ილ. ჭავჭავაძის ლექსები.

(ტომი I, 1892 წ.)

მკითხველის შენიშვნები *).

1859 წელი.

«ქართლის დედას».

თ. ილ. ჭავჭავაძის ლექსებს შორის „ქართლის დედას“ პირველია, რომელიც შინაარსითაც და გარეგნობითაც კარგ ლექსათ უნდა ჩაითვალოს. ამ ლექსამდი, როგორც ვნახეთ („ქვალი“, 1894 წლ. 20, 29 და 30 №№), პოეტს ჩვენთვის ხეირიანი ლექსი არ მოუწოდებია. ლექსი „ქართლის დედას“ მით უფრო იპყრობს მკითხველის ყუ-

*) 1894 წელში იბეჭდებოდა გაზეთ „ქვალში“ ჩემი კრიტიკული შენიშვნები თ. ილ. ჭავჭავაძის ლექსების შესახებ. მე განვიზრახე—პირუთვნელათ გამომეხატა ის შთაბეჭდილება, რომელიც მე მივიღე ამ ლექსების კითხვის დროს, როგორც ავი, ისე კარგიც. „ქვალის“ მაშინდელმა გამგებ, განსვენებულმა ბ. წერეთელმა, სიხარულით მიიღო ჩემი წინადადება, და მეც შევუდექი შენიშვნების წერას. პირველათ „წიმიტრი თავდადებულზე“ მქონდა შენიშვნები დაწერილი და ისინი დავბეჭდე. შემდეგ დავიწყე თავიდან, პირველი ლექსიდანვე, და ბოლომდი უნდა გამერჩია ყველა ლექსი

რადღებას, რომ მისი შინაარსი პატრიოტულია. რა საკვირველია, მარტო პატრიოტობაც არ კმარა, და პოეტი გრძნობით გვიხატავს დედის დანიშნულებას:

„ აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,—
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს“...

მხოლოდ ეს ვერ გავიგეთ, თუ რა აზრით ხმა-
რობს პოეტი სიტყვას „ქართლი“; თუ საზოგადოთ
მთელ საქართველოს უწოდებს ასე, მაშინ ეს იქნება
შეცდომა ენის მხრით, და თუ რომ საქართველოს
ერთი კუთხე, ქართლი, აქვს მხედველობაში, მაშინ

რიგრიგათ. პირველი ორი წლის (1857-ისა და 1858-ის)
ლექსების გარჩევა „ქვალის“ რედაქციამ დაუყოვნებლათ და-
ბეჭდა. ამ ორი წლის ლექსებში მე ვერ ვიპოვნე რიგიანი ლექსი—
და ამიტომაც ჩემს შენიშვნებში თითქმის მარტო ნაკლუ-
ლევანება იყო გამოხატული.—1859 წლის ლექსებში ძალიან
მომეწონა რამდენიმე ლექსი—და ჩემს შენიშვნებშიც გულ-
წრფელათ აღვიარე იმათი მაღალი ღირსება. ეს შენიშვნებიც
გავუგზავნე „ქვალის“ რედაქციას დასაბეჭდათ 1894 წლის
ზაფხულში, მაგრამ რედაქციამ რატომღაც დააგვიანა მათი
დაბეჭდვა. ბანსვენებული ბ. წერეთელი პირადათ ვნახე ქუ-
თაისში და ვკითხე ჩემი შენიშვნების დაუბეჭდაობის მიზეზი;
პასუხათ მითხრა: ყურადღებით მინდა წავიკითხო და ისე
დავბეჭდოვო; დღემდი ვეღარ მოვიცალე და აწი მალე და-
ვბეჭდავო. ამას შემდეგაც რამდენჯერმე გავახსენე—და ყო-
ველთვის მპირდებოდა, მალე დაიბეჭდებო; მაგრამ შემდეგ

კიდევ უფრო დიდი შეცთომა იქნება—აზრის მხრით, რადგან მარტო ქართლის დედა არ ეყოფა აღმზდელათ მთელი საქართველოს შვილებს...

მნის მხრით ამ ლექსში ჩვენ უკეთილხმოვანოთ მიგვაჩნია შემდეგი ფორმები: ქ ა რ თ ვ ლ ი ს ა, ე ხ ლ ა, ს ა ლ მ რ თ ო; ამათ სჯობია ფორმები: ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა, ა ხ ლ ა, ს ა ლ ვ თ ო.

ამას უნდა დავუმატოთ, რომ რითმები აქაც, როგორც სხვა ლექსებშიც, ბევრია უკეთილხმოვანო: ქ ა რ თ ვ ლ ი ს ა—შ ვ ი ლ ს ა, მ თ ი ს ა—გ მ ი რ ს ა, ნ ა ლ ვ ე ლ მ ა—ბ ე დ მ ა და ს ხ. და ს ხ. მაგრამ ცეზურის მხრით ეს ლექსი კანონიერათ არის დაწყობილი.



ჰეინელან ნათარგმნი პატარა ლექსი სულ ორი ხანადან შესდგება და ორივე ხანა უხეიროთ არის გამოთქმული. პრამუსიკალურ რითმებს გარდა, უხერხული გამოთქმანიც საკმაოთ არის ამ პაწია ლექსში.

Handwritten notes in a circle:
სახსრებ
11 შინაგან
ჩემი
სახსრებ
11 შინაგან

განსვენებული ბიორგი თითქმის სულ მოშორდა რედაქციას, გაზეთის მართვა ბ. შორდანიამ იკისრა—და ამ სახით ჩემი შენიშვნები დაუბეჭდავი დარჩა...

რადგან ჩემს დაბეჭდილ შენიშვნებში მარტო ნაკლებევანებაზე იყო ლაპარაკი, შესაძლებელია ბევრი მკითხველი ეჭვში შევიდა და იფიქრა: ჩანს, ავტორს კალამი მისთვის აულია, რომ მარტო გაკიცხვა წარმოეთქვაო. თუმცა ჩემს შესახებ მკითხველების მხრით ამგვარი ეჭვის შემოტანის ფიქრი ყოველთვის მაწუხებდა, მაგრამ „ბვალმა“ ჩემი წერილი არ დაბეჭდა, და სხვაგან კი ვეღარ მოვახერხე მისი დაბეჭდვა.

მეორე ხანაში ნათქვამია:

„მითხარ: „მიყვარხარ“—და იმავ წამსა,

თვითც არ ვუწყ რაზედ, მწარედ ვიტირებ.“

სამწუხაროთ, ორიგინალი ხელთ არა გვაქვს, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ ჭეინეს ასე არ ექნება ნათქვამი, რადგან ის შესანიშნავი პოეტი იყო და, რა თქმა უნდა, სულის მოძრაობანი, ადამიანის ფსიხოლოგიური მღელვარებანი ნაგრძნობი და შეგნებული ექნებოდა. მწარეთ ტირილი შეუძლებელია მაშინ, როცა საყვარელი ადამიანი გეხვევა და გეუბნება: „მიყვარხარ“—ო! ამისთანა წამს შეიძლება მხოლოდ თვალი ცრემლით აგვესოს, დაღვარო კიდევ,—მაგრამ ეს ცრემლი არ იქნება მწარე, არამედ დამტკბობი, საამო და სანეტარო.

უხერხულათ მიგვაჩნია გამოთქმანი: ტეხა გულის, სხვა სიცოცხლეზე სული რწმუნდება, სამოთხეს ვსცხოვრებ; ამათ მაგიერ უნდა იყოს: გულის კვნესა, სული რწმუნდება სხვა სიცოცხლის არსებობაში (ან: რომ არსებობს სხვა სიცოცხლე), სამოთხეში ვცხოვრობ.—უკანონოა ფორმა მე ვუწყ, მე ვუწყის მაგიერ.

„სიხარული“

(მიბაძვა).

„სიხარული ჰგავს გზის პირას გაზდილს,
ზავლით მოწყვეტილს სუნნელსა ყვავილს,

რომელიც ხელში დიდხანს არ გრჩება,
მცირე ხანს გატკობს და მერე ჰკენება“.

სულ ამ ერთ ხანას წარმოადგენს ეს ლექსი. ჩვენს პოეტს ვისთვისღაც მიუბაძავს ამ ლექსის აზრში (რატომ არ აცხადებს — ვისთვის?!), მაგრამ, ჩვენი აზრით, ასე მცირე რაშიმე მიბაძვას ისევ სჯობია პირდაპირ სთარგმნოს პოეტმა.

„გზის პირას გაზდილს“ —ო: — რატომ უთუოთ „გზის პირას“? ჩვენ გვგონია, რომ სიხარული, სიტკბოება, ბედნიერება ისე იშვიათია ადამიანის ცხოვრებაში, რომ მოულოდნელათ, უაღაგო ადგილას თუ გადაეყრება მას კაცი, თვარა შარაზე ვერ იპოვნის.

„ბავლით მოწყვეტილი“ უხერხული გამოთქმაა და სუნნელი ყვავილის მაგიერ სუნნელოვანი ყვავილი სჯობია.

„როდემდის“.

ამ ლექსით პოეტი გვიქადაგებს, რომ სიცოცხლე ამ სოფლათ ამაოთ არ გაატაროთო; მაგრამ ეს ქადაგება მეტათ მშრალი დარიგებაა და ისიც უშნოთ არის გამოხატული.

ნათესაობით ბრუნვაში ფორმა ქრისტის, როგორც ნახმარია ამ ლექსში, ყოვლად უკეთილხმოვანო და მასთან უკანონო ფორმაცაა; ქრისტის ისე არ შეიძლება ვსთქვათ, როგორც პეტრის,

ივანის და სხ.: ე—ზე დაბოლოებულ სახელებს ნათესაობითში სი აქვს დაბოლოება, ან შემოკლებით ს (მაგალ. სახლი პეტრესი, ან პეტრეს სახლი და სხ.). მაშასადამე, აქაც უნდა ითქვას ძრისტესი ან ქრისტეს.

„ნუთუ შენს თავსა მტვრათა შექმნილს ჰხედავ კვლავ მტვრათა?“ უნდა იყოს ნათქვამი „მტვრიდან შექნილს“, თვარა, თუ მტვრათ შექნილია, რასაკვირველია მტვრათ უნდა მიიჩინოს თავისითავი!..

„გავსწორდეთ, ბედო“.

ეს ლექსი შინაარსით მოგვაგონებს ნიკოლოზ ბარათაშვილის „სულო ბოროტო“—ს: როგორც იქ, ისე აქაც გამოთქმულია შავბედისადმი საყვედური და ბოლოს მისი განდევნის, თავიდან მოშორების წადილი. მაგრამ სად ბარათაშვილის გულის გამგმირავი, ღვთაებრივნაპერწყლებიანი გრძნობანი— და სად თ. ჭავჭავაძის მშრალი სიტყვებისა და აზრების გროვანი!..

„მარკვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა?
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?“

ამ სიტყვებში ისმის მედგარი ბრძოლის ხმა მოსისხლე მტრის წინააღმდეგ, ისე რომ—

„ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი, გულსა ხეული!“

და თ. ილიას ლექსში კი იგივე აზრი ერთობ უწყინარი კილოთია გამოხატული:

„მოგიკლავს ბევრი კარგი ნუგეში,
ტკბილ ოცნებაზედ გინავარდნია“—ო.

მასთან, მოყვანილ ლექსში ეპიტეტი კარგი
(კარგი ნუგეში) სრულიად არაფერს არ ხატავს.

„ღრა დავსცვალოთ ჩვენ ადგილები...“

შენს დუღუკზედა აქამდინ ვხტოდი,

ბევრჯერ და ბევრჯერ შენ გაძრუწუნე;

შხლა დუღუკი მე მაქვს, აქ მოდი,

მე დავუკრამ და—შენ კი იხტუნე“.

აქ უმჯობესია ითქვას ადგილები გავსცვალოთ. — უნხართული ფორმა მაძრუწუნე პოეტს, როგორც ჩანს, კეთილხმოვანებისთვის უხმარია, — მაგრამ, პირიქით, მეტათ უკეთილხმოვანო ფორმა გამოდის. — მე დავუკრამ, წავიკითხამ, დავმალოამ და სხ. მახინჯი ფორმებიცაა და მასთან უკანონოც: მ-ზე მაშინ დაბოლოვდება ზმნა, როცა სახელზმნა მ-ზეა დაბოლოებული (ჰამა—ვსჰამ, სმა—ვსვამ, დგმა—ვსდგამ და სხ.); და თუ სახელზმნა ვა-ზე ბოლოვდება, მაშინ პიროვანი დაბოლოება ეიქნება: დამალოვა—დავმალოვ, კითხვა—ვიკითხავ, დაკვრა (პირველი ფორმა იყო დაკრვა)—დავუკრავ.

—:~:~:~:—

„კართა თანა“

(რიუკერტისა)

ეს ლექსი გრძნობიერი და აზრიანია და საფუძვლიანათ მიუქცევია ჩვენი მგოსნის ყურადღება. მაგ-

რამ თარგმანი, სამწუხაროთ, ერთობ სუსტია, ფორმები უკეთილხმოვანო და ლექსთა წყობა უკანონო.

„შანჯრიდამ გროში/ტრიალით ჩემ/ფეხწინ დაეცა...

ისე ჰედით იქ/გუგუნებდა/გროვა ხალხისა.“

ეს ტაეპები ცეზურის მხრით არ არის კანონიერათ დაწყობილი, რადგან ცეზურა უაღაგო ადგილას ყოფს სიტყვებს, როგორც ნაჩვენებია ხაზებით.— ამას გარდა ამ ლექსის ენას ანაკლულევენებს რითმების სილარიბე (ძებნა—მიჩვენა, საფლავს—აღავს, საწყალსა—ზარსა და სხ.) და ხშირათ სრული დაბოლოების ხმარება (დიდხანსა, ვერავინა, ჩემთვისა, კარამდისა და სხ.).

„მ ლ ე გ ი ა“

ეს ლექსი თავიდან ბოლომდე კარგია. მთვარიანი ლამის მოკლეთ და გრძნობიერათ გამონასკული სურათი, ლამის მყუდროება—და ამ მყუდროებაში პროეტის მარტოობა, რომელიც მძინარე ქვეყანას ჩაფიქრებული დასცქერის და დაღონებული კითხულობს:

„ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი...

როსდა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“

შველა ეს საგრძნობელიც არის და საგულისხმოც.

ენის მხრით ჩვენ აქ ურიგო ფორმებათ მიგვაჩნია: მეტყოდა (მეუბნებოდა-ს მაგიერ) და ქართვის ძილია; ჩვენ ზევითაც გვაქვს ნათქვა-

მი, რომ სიტყვაში ქართველი ხმოვანი ე არ იკარგება ბრუნვებში, და, მაშასადამე, აქ უნდა იყოს ნახმარი ქართველის ძილში, მით უფრო, რომ ამით ლექსთა წყობაც არ დაირღვევა.



(რ ი უ კ მ რ ტ ი ს ა)

შეყაროთ იოანე მოყვანილი

ბეიკვირს, რა ნახა ჩვენმა პოეტმა ამ ლექსში იმისთანა, რომ უთარგმნია!.. თარგმანის უვარგისობის ნიმუშათ ესეც კმარა:

„ზაზუნდა სიხარულით
ბამოდის მგზავრი დილით,
მაგრამ კი სალამო უამს
შინ ნატრობს განსვენებას“.



აქ რიგით „ჭაჯი-აბრეკი“ უნდა გაგვეჩიხა, მაგრამ, რაკი ამ პოემის თარგმანის შესახებ გრძლათ დაგვეჭირდება ლაპარაკი, ამიტომ ჯერჯერობით წვრილი ლექსების გარჩევას განვაგრძობთ, და „ჭაჯი-აბრეკის“ გარჩევას კი შემდეგში დავბეჭდავთ, როცა შემთხვევა მოგვეცემა.



„ ა ლ ა ზ ა ნ ს “ .

პოეტის მიერ თავისი წარსული ცხოვრების ბედნიერი წუთების მოგონება—ეს არის ამ ლექსის შინაარსი. ჭეშმარიტი გრძნობით სავსეა ეს ლექსი;

წმინდა სიყვარულია. ამ გრძნობიერი ლექსის პირველი წყარო, ბედნიერი სიყვარულის მოწმე ადგილები—მისი მშობელი.

„აგერ ის შუხა, რომლის ჩრდილ ქვეშ ვისხედით ერთად მე და ის, ვინცა აღმიჩნდა მე ცხოვრების ღმერთად.

მუნით დაგცქერდით: შენ გრგვინავდი აღელვებული,

ვით შენ ჰღელავდი, ისეც ჩვენში ჰღელავდა გული“.

რა თქმა უნდა, ბედნიერი იყო ეს წუთი პოეტისათვის, — „მაგრამ“ — ნიკოლოზ ბარათაშვილისა არ იყოს — „საწუთრო განა ვისმე დიდხანს ახარებს“?..

ჩვენი პოეტიც სიმწარით ამბობს:

„მაგრამ წარივლტო წუთის შვება ჩვენის გულისა,

მაჰქრა სიბრმავე აღტაცებულ სიყვარულისა“!..

მართათ შეზავებული სიტკბოება და სიმწარე, ნაღველში მორეული თაფლი—ასეთია უდროოთ გამქრალი ბედნიერების მოგონება, ამგვარია უბედური სიყვარული...

„სად არს ის ღმერთა, იგი გრძნობა, ის სიყვარული?

ჰველა წარსულა, — რად არ მიდის ხსოვნა ბედკრული“?..

მხოლოდ ეს ადგილი მიგვაჩნია არანორმალური გრძნობის გამომხატველათ. მვით უბედური სიყვარულიც, თუნდ ერთი წუთით გამოცთილიც, ისე ღრმა კვალსა სტოვებს ჩვენს ცხოვრებაში, ისე ბედნიერათ ქმნის ადამიანს, რომ მარტო იმ ბედნიერი წუთის მოგონებისათვის ადამიანი ვერ შეწყლევთათვის „ხსოვნას“ და მზათ არის—ათასი მწარე წუთი გამოიაროს, ოღონდ კი გამოცთილი სიტკბოების წუთმა ათასში ერთხელ ააფრთოვანოს მისი

ოცნება, ტკბილათ ააჟღეროს მისი გულის სიმი...
ამიტომაც, დარწმუნებული ვართ, ჩვენი პოეტი
ამისთანა ხსოვნას ვერ უარყოფს, რადგან, შევ-
ჩენკოსი არ იყოს,

„წამის შეებას,

სიტკბობას

მარად მოვიგონებთ“.

უნის მხრით ამ ლექსში ნაკლულევანებათ უნ-
და ჩაითვალოს ზედიზედ, ახლოს გამეორებული ერ-
თი და იგივე სიტყვა:

„მაგრამ მასში ჩვენ არ ვეძებდით შედარებასა.

რად გვინდოდა ჩვენ მომავალი“...

და სიტყვა ღმერთა, რომელიც წარმოადგენს რუ-
სული ენის გავლენით შემოღებულ არასაჭირო
ფორმას.



„ნ ა ნ ა“

ლექსი „ნანა“ ჩვენ არ შეგვიძლია ჩავსთვა-
ლოთ ისე უნაკლულო ლექსათ, როგორც წინამო-
მდევარი ლექსი „ალაზანს“. ამ უკანასკნელს არ
აკლია არც შინაარსი, არც გრძნობა, არც გარეგა-
ნი სილამაზე; „ნანა“-ში კი შინაარსიც მდიდარია,
გრძნობაც მაღალია და წრფელი,—მაგრამ გარეგანი
სილამაზე კი აკლია, ძალიან აკლია.

ეს ლექსი რომ პროზათ იყოს დაწერილი, რო-
გორც, მაგალითათ, ტურგენევის აქვს „ლექსები
პროზათ“, მაშინ უნაკლულო იქნებოდა (რა საკვირ-
ველია, თუ კარგი ენით იქნებოდა გამოთქმული);

მაგრამ, რაკი წყობილსიტყვით არის დაწერილი, არ შეიძლება ლექსის ღირსებანი არ მოვსთხოვოთ.

„ნანა“-ში ცეზურები ურიგოთ არის დაწყობილი თითქმის ყოველ ხანაში. თითოეული ტაეპი აქ გაიყოფება ცეზურით ორ ნაწილათ: პირველ ნაწილში ოთხი მარცვალია, მეორეში სამი (ა—აა/—აა). ამ სახით უნდა იყოს დაწყობილი ყველა ტაეპი, აქ კი ორი მესამედი ურიგოთ არის დაწყობილი.

პვილოთ მაგალითი:

„რისთვის მომა/პყარ, თვალნი“.

ამ ტაეპში ცეზურა უალაგო ადგილას არის, შუა სიტყვაშია, და ამიტომაც კითხვაში ლექსი არ გამოდის რიგიანი.

პქვე უნდა ვსთქვათ, რომ ლექსში შესაძლებელია ცეზურა მოხვდეს სიტყვის შუა წელში, მაგრამ ამისთანა ლექსი შესაწყნარებელია მხოლოდ მაშინ, თუ რომ საცეზურო სიტყვა მრავალმარცვლოვანია, ისე რომ მისი მარცვლების რიცხვი თითოეული ტაეპის მარცვალთა რიცხვს უდრის (მაგალ. ამ შემთხვევაში სიტყვა უნდა იქნეს შვიდმარცვლოვანი: გაბედნიე/რებული, გაკადნიე/რებული და სხ.), ან თუ ტაეპი ორი სიტყვისაგან შესდგება, რომლისგანაც პირველი ერთმარცვლოვანი იქნება და მეორე ექვსმარცვლოვანი, ან პირველი ორმარცვლოვანი და მეორე ხუთმარცვლოვანი (ერთი სიტყვით, ცეზურას ორი მარცვლით მაინც უნდა აღემატებოდეს), — მაგალითათ:

ნუ გამოიორ/გულდები;

მკლავი გაგი/მაგრდება. და სხ. და სხ.

და თუ იმისთანა სიტყვაში შეხვდა ცეზურა; რომელიც ცეზურის მარცვლებს მხოლოდ ერთი მარცვლით აღემატება, მაშინ ლექსთა წყობის კეთილხმოვანება ირღვევა, — მაგალითათ:

ბრძოლაზედ გა/გეცვლება;

რად მინდა ი/გიშვილი და სხ.

ამგვარათ, ცეზურების კანონი ამ ლექსში ძალიან ხშირათ არის დარღვეული. ამასთანავე რითმებიც ხშირათ უკეთილხმოვანოა (ბედშაობას — გმირობას, მეხად — მსხვერპლად და სხ.).

ენის მხრით საყურადღებოა აგრეთვე შემდეგი უკანონო ფორმები: ჯერედ (უნდა იყოს ჯერ), ჩვილი (უნდა იყოს ჩვილი; მართლწერა ჩვილი, თთვე და სხ. თუმცა ნახმარია ჩვენს ძველსა და ახალ მწერლობაში აქა-იქ, მაგრამ ამისთანა მართლწერას საფუძველი არ აქვს არც ხალხის ენაში და არც საზოგადოთ ქართული ენის ხასიათში: ქართული სიტყვების ძირში არ იხმარება ერთი და იგივე თანხმოვანი გამეორებით; ამიტომაც უცხო ენების სახელების მართლწერაც ამ კანონის მიხედვით გადაუქართულებია ჩვენს ენას, მაგალ. კლასი, გრამატიკა, ეკლესია, ბელეტრისტი და სხ.).

„იცოდე, ეგ სიკვდილი

მეტე დიდი რამ არი“.

ბამოთქმა „მეტე დიდი რამ არი“ არ არის პოეტური.

ამ სახით, გარეგანი მხრით კრიტიკას წინ ვერ დაუდგება ეს ლექსი, და მკითხველის ყურადღებას თუ მაინც იზიდავს, მიზეზი ის არის, რომ შინა-არსით არის მომხიბლავი, თავისი პატრიოტული კილოთი: მამულის უზომო სიყვარული დედის მხრით, შვილის შეწირვა მამულისათვის, შვილის მოვალეობა მამულისადმი... და ყველა ეს გრძნობით არის გამოხატული.

„მძინარე ქალი“.

„მე შენ დაგყურებ
მშვიდ მძინარესა
და დავტრიალებ
შენს ბროლის მკერდსა“.

არ გვესმის, როგორი სურათი უნდა პოეტს წარმოგვიდგინოს, როცა ამბობს: „და დავტრიალებ შენს ბროლის მკერდსა“!..

ნელი დელვა წრფელის გულისა:—

ბული თუ დელავს, მისი მდგომარეობა არა-ჩვეულებრივია, ის შფოთავს, კვნესის... მაშასადამე, როგორ შეიძლება ითქვას: ნელი დელვა?!. ან რა მოხელეა აქ ეპიტეტი წრფელი?!

„წრფელი გაქვს ძილი,
ვით ხილვა ცისა“—

მეტათ ბნელი, გაუგებარი შედარებაა.

„შენ თვითან წრფელსა,
წრფელიც გაქვს ფშვენა“:—

ძალიან შეყვარებია ჩვენს პოეტს ეს სიტყვა...
ვინ არ იცის, რომ სიწრფელე მშვენიერი თვისებაა, მაგრამ ყოველივე წრფელი როგორ იქნება?!...

საზოგადოთ ეს ლექსი სუსტია შინაარსითაც და ენის მხრითაც.

„ციურნი ხმები“.

ეს ლექსი იმით არის შესანიშნავი, რომ პოეტი ხშირათ იმეორებს: „ციურნი ხმები“, „ციურნო ხმებო, ოჰ, საკვირვლებო“—ო. სიტყვების ამგვარი შეთანხმება არსად გვინახავს: ან უნდა იყოს ციური ხმები, ციურნო ხმებო, და ან ციურნი ხმანი, ციურნო ხმანო. უშნო გამოთქმა, და ისიც რამდენჯერმე გამეორებული, რათქმა უნდა, მკითხველს გულზე მალამოს მოცხების მაგიერ უხამს გადაასხამს... განსაკუთრებით მაშინ, როცა შინაარსიც ღარიბია.

„ჩემო მკვლელო! ვიცი, ვიცი,
არ ხარ ისე მშვენიერი,
რომე შენის ერთის ნახვით
ბანცაცვიფრდეს უქმი ერი“.

რა ადგილი აქვს აქ ეპიტეტს უქმი? მასთან, მშვენიერება განა მხოლოდ უქმ ერს გააცვიფრებს?!

სიტყვაში განცაცვიფრდეს ნაწილაკი ცა უადგილოთ არის ნახმარი. **ცა** მაშინ იხმარება, როცა განმეორებით უნდათ აღნიშნონ საგნის თვისება ან მოქმედება, უფრო ძლიერათ, ვიდრე პირველ სიტყვაში; მაგალითათ:

„მზესა მთვარე შეეყაროს, დაილევოს, დაცასჰკენების“

„**ჩ...სას**“

შუხო თემის ყარიბ მთქმელსა

რად აღმიგზენ სიყვარული?..

ლამის, ტურფავ, შენს ტრფობაში

მე შთავწურო სრულად გული!“

სიტყვა ყარიბი აქ როგორღაც უადგილოთ არის ნახმარი—და ამიტომ მკითხველი ნათლათ ვერ წარმოიდგენს, თუ რა უნდოდა პოეტს გამოეხატა სიტყვებით ყარიბ მთქმელსა.—ამ ხანაში კარგი პოეტური გამოთქმაა: „ლამის, ტურფავ, შენს ტრფობაში მე შთავწურო სრულად გული“,—ძლიერი სიყვარულის ძლიერათ გამომთქმელი.

ამ სიტყვებს შემდეგ პოეტი პირდაპირ გადადის სხვა აზრზე და მესამე პირით ამბობს: „მრთხელ მითხრა“—ო, და სხ.. აქ აზრთა შორის კავშირი ერთობ მოულოდნელათ არის გაწყვეტილი, და ამის მიზეზია სასაუბრო პირების შეცვლა, რომ ავტორი ხან მესამე პირს ესაუბრება, ხან კი მესამე პირით მოგვითხრობს.

„ს...ჩ...სას“.

ეს პაწია ლექსი კარგათ გვიხატავს სიყვარულის ოცნებობას, განსაკუთრებით პირველი ხანა:

„სატრფოვ! ხშირად ლალი ფიქრი

ბამიტაცებს სუბუქ ფრთითა,

ვითომც მე შენ მოგხვევივარ

სავსეს ეშხის სიამითა“.

ამ ლექსში პოეტი ხმარობს: „ჩავართათ სულთან სულიო“, — რა ფორმაა ეს ჩავართათ?!



„ბეჭრი ვიტანჯე“.

ამ ლექსის დედააზრი ის არის, რომ, პოეტის აზრით, ყველა სატანჯველზე უფრო ძნელი ასატანია ადამიანისათვის თავისთავის არარაობა. ეს აზრი არ არის მაინცადამაინც დიდათ საგულისხმო, და მასთან ისეა გამოთქმული, რომ უთქმელობა გვეჩიხა:

„შველას გავუძღვებ, როგორც კლდე ქვისა,


ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება, —

ხოლო ჩემ თავის არა ფრობისა

არ ძალმიძს, ძმანო, ვერრით გაძლება“.

კლდე ქვისა-ო, რომ ამბობს პოეტი, ნუთუ მიწის კლდეც შეიძლება იყოს?! ალბათ სალი კლდე უნდოდა ეთქვა. — ბრძოლა მეშინება არ ითქმის, არამედ ბრძოლის მეშინება (მეშინება რის?). — არ ძალმიძს ვერრით გაძლება არ არის ქართული: არა-სთან არა-თი და

წყებული უარყოფითი სიტყვები იხმარება და ვერას-
თან ვერა-თი (არაფერი არ იცის, ვერაფ-
რით ვერ კმაყოფილდება და სხ.). — უგრძნო
ჯალათს: — უნდა იყოს უგრძნობ; იხმარება ფორ-
მები: უგრძნობელი, უგრძნობი, უგრ-
ძნობო, და უგრძნოკი არ არსებობს. — სიტყ-
ვა ტანჯვა, ვიტანჯე სამჯერ არის ნახმარი
ამ პაწია ლექსში, რაიცა კეთილხმოვანებას არღვევს.



„ვიხილე სატრო“

ამ ლექსში ჩვენს პოეტს ის აზრი აქვს გატა-
რებული, რომ ქალს უფრო ადვილათ შეაშრება თვალ-
ზე ცრემლი, ქალი უფრო ადვილათ დაივიწყებს
ტრფობის ცეცხლს, ვიდრე ვაჟიო. ჩვენი ფიქრით,
ქალის ამნაირი თვისების მიზეზი ის გარემოება უნდა
იყოს, რომ ქალს უფრო ეადვილება ვაჟის გულის
მოხიბლვა, ვიდრე ვაჟს ქალისა. ქალი როცა სატრ-
ფოს კარგავს, იმით ნუგეშობს, რომ, თუ მოი-
სურვებს, ახალ მიჯნურს ადვილათ გაიჩენს. ვაჟის-
თვის კი ამგვარ ნუგეშს ნაკლები საფუძველი აქვს,
რადგან იცის, რომ ქალი სიყვარულში ცდიერია
და უწრფელო. ქალს რომ სიყვარულს უცხადებდე,
იმისთანა ქალსაც, რომელსაც შენი ხვევნა-ალერსი
სწყურია, ის მაინც თავის მოვალეობათა სთვლის —
შენი აგზნებული სიყვარული შორს დაიჭიროს...

შესაძლებელია, სილაც გითავაზოს... ასეთია ქალის ბუნება საზოგადოთ, თუმცა, რა საკვირველია, გამოაურციცხველათ ყველაზე ეს არ ითქმის.

იგივე აზრი, რასაც ჩვენი პოეტი ამბობს, დიდი ხნით წინეთ უთქვამს უფრო მოკლეთ და ნათლათ ინგლისის პოეტს „ჩაილდ-ჰაროლდში“:

„И что же находимъ мы въ женскихъ слезахъ?

И долго-ли женщина ждётъ?..

Чужая рука на прекрасныхъ глазахъ

Вчерашнія слезы сотреть!“*)

„მაშინ დავსტკბები“.

შოთა რუსთველის თანახმათ, თ. ილია ჭავჭავაძეც ამ ლექსში გვიხატავს წმინდა სიყვარულს, რომელიც «სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი». ჭეშმარიტათ, მხოლოდ მაშინ შეიძლება დასტკბეს გაუფუჭებელი ადამიანის სული და გული, როცა, ღვთაებრივი ცეცხლით აგზნებულს, «აქვს საღვთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა», ან, როგორც ჩვენი პოეტი ამბობს:

„მაშინ დავსტკბები სრულის სამოთხით,

როს, ვით მე გეტრფი, შენცა მეტრფოდე,

და ქალწულების კრთომით, მორცხვობით

*) და რას ვპოულობთ ქალის ცრემლებში? ან განა დიდხანს კი იცთის ქალი? მის ციურ თვალებზე მომდგარ ცრემლებს მეორე დღესვე შეაშრობს სხვა ვაჟის ხელიო.

მე შენს სიყვარულს მეუბნებოდე.

მე დაგყურებდე ტრფიალებითა,
შენ ჩემს გულზედა თავი გესვენოს;

მწყუროდეს, მაგრამ კრძალულებითა

მე შენთვის კოცნაც ვერ გამებედნოს.

ვიშ, მაგ შენს ნარნარს გულისცემასა,

ვით ლოცვის ბგერას, ლმობით ვისმენდე

და ცოდვილთ ფიქრთა ზედმოსევასა

შენის სიწმინდით ეიგერიებდე».

ამ გრძნობით სავსე ლექსის შთაბეჭდილებას ცოტაოდნათ ასუსტებს სიტყვასთან გესვენოს მისაწყობი უკეთილხმოვანო რითმა გამებედნოს, რომელიც თავისთავათაც უკეთილხმოვანო ფორმაა (გამებედნოს სჯობია), და სრულიად უკანონო ფორმა ვიგერიებდე („ვიგერებდე“-ს მაგიერ), რომელიც რითმითაც არ არის მუსიკალური სიტყვასთან „ვისმენდე“.



894.63

6931

ზ ი ნ ა ა რ ს ი.

გვერდი.

1. გაზაფხული (ჭუთაისი, 1890 წ., მარტი.—
პირველათ დაიბეჭდა „ქვალში“,
1894 წ. 16 №) 1.
2. სად არის სამართალი? (ჭუთაისი, 1898 წ.,
მარტის დამდეგს) 3.
3. ვის უნდა თანაუგრძნოთ? (ჭუთაისი, 1900 წ.,
20—23 დეკემბერს) 7.
4. რისთვის ღვრიან სისხლს? (ჭუთაისი, 1901 წ.,
31 იანვ.—2 თებერვ.) 16.
5. კრწანისის ბრძოლა (ჭუთაისი, 1895 წ.,
8—9 სექტემბერს.—პირ-
ველათ დაიბეჭდა „ქვალ-
ში“, 1895 წ. 40 №) 20.
6. მარჯორი შარდროპის ასულს (სოფ. საჯავა-
ხო, 1896 წ.,
3 აგვისტოს). 26.
7. ღემონი (ჭუთაისი, 1898 წ., 26 თებერვალს) 28.
8. ძუთათური ოპოზიცია (ჭუთაისი, 1901 წ.,
3—6 თებერვალს) 29.
9. თ. ილ. ჭავჭავაძის ლექსები (ჭუთაისი, 1894 წ.
ივნისის დამდეგს) 43.

ზ ე ც თ ო მ ე ბ ი.

დაბეჭდილია: 4 გვერდზე ვ ფ ი ფ ც ა ვ, 27-ზე შ ყ ვ ე ლ ა ს ი,
30-ზე ს გ უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი. ამათ მაგიერ უნდა იყოს: ვ ფ ი ც ა ვ,
შ ყ ვ ე ლ ა ს ი, მ ი უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი.—24 გვერდზე უკანასკნელი
ტაეპი (შლექტდა, ხოცდა და მუსრავდა) ამავე გვერდის თავში
უნდა იყოს.

894.63

6 931



ՅԱՆՆ ԳՐԹՈՐ ՆՅԱՅՈՒՆ.